

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბედობიც ბეჭდ-
ვუძი სიფყვას, ფუთილებით და ჭაბჭაბით ბუბ-
თის გაფანა ყველა უკადრისმბაჭ უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 17 თებერვალი. 2016 წ. №30 (7922), გამოცემის 98-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

იგივე დღე იგივე წელიწადში, სხვაგან ვერ ნახავთ!

სა

ზუსთაველი მსოფლიოსთვის უნდა ენაშუქობდეს...

არაბულენოვანი „პაფისტაოსნის“ შექმნის ისტორია



არაბულენოვანი „პაფისტაოსნის“
შექმნის ისტორია

თქვენ ჯერ არ იხით, რა პირისპვილებს ამოუღებელ ბევრად!

ვინ აიღო აზნაუთის მთავრობის სახლი? შარტავას სახუთები და მტკიცებულებები. რომელის პირველად ქვეყნდება

რომის პაპი საქართველოს ეწვევა

რომის პაპი ფრანცისკი საგარეო დოქტრინის
დასაწყისში საქართველოს ეწვევა. კა-
თოლიკური ეკლესიის მეთაურის საქართველო-
ში სტუმრობა სამხრეთკავკასიური ვიზიტის
ფარგლებში შედგება.

პაპის საქართველოში ვიზიტი რელიგიის სა-
კითხვებში სახელმწიფო სააგენტოს სელმძღვანელმა ზაზა ვაშაყმაძემ უკ-
ვე განიხილა სამხრეთ კავკასიაში რომის კათოლიკური ეკლესიის ეპის-
კოპოსთან ჯუზეპე ბაზოტოსთან.



„ჭკვიანი მტრისგანას“ მეტი უნდა ვისწავლოთ!



4 ავი მუსაიფი



დავით სარგაძე: კეპალიტით 160 000 კასი დაავადებული!

ახალი პრეპარატი C კეპალიტის დასაფარსხებლად

შრომის, ჯანმრთელობისა და სოცია-
ლური დაცვის მინისტრის დავით სარგა-
ძის განცხადებით, პრეპარატი „პარგო-
ნი“ უკვე საქართველოშია და დღეიდან მას
C კეპალიტისგან განკურნების მსურველ
ასალ პაციენტებს შესთავაზებენ.

მინისტრმა გუშინ გამართულ ბრი-
ფინგზე განმარტა, რომ „პარგონი“ არის
ორი პრეპარატის „სოფოსბუფირისა“
და „ლედიპასვირის“ კომბინაცია, რო-
მელიც კიდევ უფრო მაღალი ეფექტუ-
რობით გამოირჩევა.

„განსხვავებით „სოფოსბუფირისგან“,
რომლითაც 7 000-მდე პაციენტი მკურ-
ნალობა უტარდება, გამოწვევის შემ-
თხვევების გარდა, „პარგონი“ კომბი-
ნირებული მკურნალობა სხვა მედიკამენ-
ტებთან ერთად ნაკლებად ესაჭიროება.
შემცირებულია იმ მედიკამენტების რა-
ოდენობაც, რომელიც კომბინირებული
მკურნალობის დროს გამოიყენება. პრე-
პარატი „პარგონი“ ნაკლები გვერდითი
მოვლენებით გამოირჩევა და პაციენტ-
თა გამოჯანმრთელების პროცენტი მა-
ღალია“, – განაცხადა მინისტრმა.

მისივე ინფორმაციით, C კეპალიტის
ილუმინაციის პროგრამის დანერგვიდან

დღემდე მკურნალობაში 7 000-მდე პა-
ციენტი ჩართული, მათგან 3 000-ზე
მეტმა მკურნალობის კურსი უკვე და-
ასრულა. 90%-ის შემთხვევაში C კეპა-
ლიტის ვირუსი დამარცხდა, 3%-ის შემ-
თხვევაში აღინიშნა გვერდითი მოვლენე-
ბები, ხოლო გარდაცვალების შემთხვე-
ვები 1,6%-ს შეადგენს.

მინისტრმა განმარტა, რომ იმ პაცი-
ენტებმა, რომლებიც უკვე მკურნალო-
ბენ „სოფალდით“, არ უნდა შეწყვიტონ
მკურნალობა იმ იმედით, რომ მათ „პარ-
გონით“ მკურნალობის პროგრამაში
ჩასვამენ.

მინისტრის განცხადებით, „პარგო-
ნის“ პრეპარატის პირველი პარტია –
2 000 ფლაკონი საქართველოში უკვე
შემოტანილია. ერთი წლის განმავლო-
ბაში პაციენტების მკურნალობისათვის
20 მილიონი ლარი არის გათვალისწი-
ნებული. სერგეევო აცხადებს, რომ
წლის ბოლომდე C კეპალიტის განკურ-
ნების პროგრამაში 20 000-მდე პაცი-
ენტის ჩართვა მოხდება.

მინისტრის განცხადებით, ბოლო კვლე-
ვებით საქართველოში, სავარაუდოდ, პე-
პალიტით 160 000 ადამიანი დაავადებული.

ირანის რესურსები მაქსიმალურად იქნება გამოყენებული

რომორც კალაძემ თერანში ვიზიტის ფარგლებში ჟურნა-
ლისტებს განუცხადა, საქართველომ ირანის რესურსი მაქსიმა-
ლურად უნდა გამოიყენოს.

„ზოგადად ირანი, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერე-
სო ქვეყანაა, ვფიქრობ, ეს სიახლე არ არის, თან იმის შემდეგ, რაც
სანქციები მოუხსნეს, ამ ქვეყნის რესურსები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ
ჩვენც. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ახალი საინტერესო პროექ-
ტები განხორციელდეს.“

ზოგადად საუბარი იყო თანამშრომლობაზე ენერგეტიკის მიმართულებით, –
განაცხადა კალაძემ. მისივე თქმით, საქართველოში ბუნებრივი აირის შემოტა-
ნასთან დაკავშირებით შეხვედრები გაგრძელდება.



ნუთუ აბანოთუბანი ლაგენდარული აბანოების გარეშე უნდა დავიკარგოთ?

აბანოთუბნის აბანოების სელმძღვანე-
ლები სელისუფლებას დახმარებას თხოვენ.


როგორც გუშინ გა-
მართულ პრესკონ-
ფერენციაზე აბანო
„ნარივალას“ დი-
რექტორმა ნოდარ
ტოტოლაშვილმა გა-
ნაცხადა, აბანოები
„ჯორჯიან ვოთერ
ენდ ფაუერს“ დაწე-
სებულ ასალ გადა-
სახადს ვერ იხდიან,
რის გამოც შე-
საძლოა, ფუნქციო-
ნირება შეწყვიტონ.

ნოდარ ტოტოლაშვილის თქმით, 2015
წლამდე აბანოთუბნის აბანოებსა და
„ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერს“ შორის

არსებობდა სიტყვიერი შეთანხმება, რომ-
ლის მიხედვითაც აბანოების სელმძღვანე-
ლები ყოველთვიურად

გონივრულ გადასა-
ხადს იხდიდნენ. 2015
წელს კი „ჯორჯიან ვო-
თერ ენდ ფაუერსი“
სელმძღვანელობა შე-
იცვალა და აბანოებს
ახალი ტარიფი დაუ-
წესდათ, რაც სემეკის
მიერ დადგენილ მაქსი-
მალურ გადასახადს, 90
თეთრს შეადგენს და მა-
გალითად, შპს „ნარივა-
ლას“ 9500 ლარს,

„ჭრელ აბანოს“ კი, რომელიც ამ ეტაპზე არ
ფუნქციონირებს, 13500 ლარს აკისრებს
ყოველთვიური გადასახადის სახით.



© გზავნილები გიონესს...

**რა უფირთ ქართულ კაპიტალისგებს
და რას ჰპირდება პრემიერი?**

ბიზნესმენები კმაყოფილები არიან. კმაყოფილია პრემიერ-მინისტრის...

ახლა მთავარია საქმე და შედეგი, რომელმაც ხალხის კმაყოფილებას უნდა გამოიწვიოს

პრისისთქის დახურულ
შეხვედრაზე, საგარაუდოდ, ბიზ-
ნესმენები გიორგი კვირიკაშვილ-
თან გაციდნენ ერთ გულახდილზე
იქნებოდნენ, ვიდრე კამერების წინ,
თუმცა „შინაურული სივრცე“ სა-
ზოგადოებისთვისაც რომ გახსნი-
ლი ყოფილიყო, არაფერი დაშავ-
დებოდა. საინტერესო იყო უძის
მოსმენა, რეალურად რა თქირს
მსხვილ ბიზნესს, რომლის ასამდე
წარმოამდგენელიც ესწრებოდა
პრემიერთან შეხვედრას. ერთი
შეხვედრის ისე ჩანს, რომ მათ თით-
ქმს პრობლემები არც უნდა ჰქონ-
დეთ, რადგან ისეთი მოგების მარ-
ჯა აქვთ დადგენილი, რომ საზო-
გადოების საშუალო ფენასთან შე-
დარებით, მათ შემოსავლები კო-
ლოსალურია.

და მაინც... საქართველოს ბიზნესმენთა ასოციაციამ საჭიროდ ჩათვალა შეხვედრის დროდასეთი ფორმატი, რომელმაც ქვეყნის ფინანსური გარემო უნდა შეცვალოს. ასოციაციის პრეზიდენტმა **გიორგი ჭიარქაძემ** შეხვედრის დაწყებამდე განცხადა, რომ ბიზნესმენებს უკვე მომზადებული ჰქონდათ ის თემები და საკითხები, რომელიც ბიზნესს აწუხებდა. **„ჩვენ ვიცით, რომ წლებიდან წელი საარჩევნო პერი-**



ოღია. ამიტომ მნიშვნელოვანია, პრემიერმა დაარწმუნოს ბიზნეს-მენები, რომ ამის მიუხედავად, ეკონომიკა, ბიზნესი და დასაქმება პაროლიტეტი იქნება“, – აღნიშნა პან.

ბიზნესმენები აცხადებენ, რომ ბოლო დროს პრემიერ-მინისტრის მიერ გახმაინებული ინიციატივები მათთვის აბსოლუტურად მისაღებია, ამდენად განწყობაც ოპტიმისტურია. მაგრამ არსებობს რისკები და გამოწვევებიც, რომელიც ბიზნესს ალელვებს და რომელიც დეტალურად განიხილეს დახურულ კარს მიღმა.

ერ-მინისტრიც
ოპტიმისტურად
არის განწყობი-
ლი, რომელმაც
ფუნდამენტური
საგადასახადო
რეფორმის შე-
სახებ სულ რა-
ღაც რამდენიმე
ღაც წინათ და-
ანონსა ბიზნეს-
სასოციაციების
სარეკლამო გენ-
ლებთან. რეფორ-

მის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნუსხით დაამუშავა. ამ ინიციატივით, მოგების გაზიარება და პარკის განვითარებას განათავსა, ეს ერთ-ერთი უფრო სახსრით ვალისწინებს, ვერ იმედოვნებს, ხრის, საინვესტიციის მოზიდავე ფაქტორი... ასე ვთქვათ, დაპირი უცხოური სხ ბუმი იქნება. ამასთან კოდექსით, შემორჩევის პრინციპი

რიოდში ანგარიშები არ დაყა-
დლებდა. შემომწეებს შემოსავე-
ლების სამსახური განახორციე-
ლებს საფინანსო პოლიტიკის ნაც-
ვლად. ეს თვისობრივად შეცვლის
ბიზნესგარემოს, – აღნიშნა პრე-
მიერმა, რომელიც შეხვედრებს
გაგრძელებას ამჯერად მიკრო-
მენაშემგებთან გეგმავს. მისი
განცხადებით, ეს მნიშვნელოვა-
ნია იმისთვის, რომ თუნდაც ძა-
ლიან მცირე ბიზნესით დაკავე-
შულმა ადამიანებმა დიდილაგში
ჩართულად იგრძნონ თავი.

მიმდინარე წლის აპრილ-მაის-ში დაწყები ბიზნესისთვის სპეციალურად დაფინანსების მექანიზმები ამოქმედდება. „ჩვენ უკვე მზად გვაქვს ეს საკითხი და აღაზრდა, სულ რამდენიმე კვირა დაგვჭირდება იმისთვის, რომ ამ საკითხის გამომტანად მოვახერხოთ“, – აღნიშნა კვირიკაშვილმა.

საგადასახადო რეფორმის მეორე ბლოკი მმართველობითი სისტემის შეცვლას ითვალისწინებს. ეს იქნება ერთი ფანჯრის პრინციპით სერვისის მიწოდება ბიზნესმენებისთვის, რომელთაც დღეს ამისთვის სხვადასხვა სამინისტროში უწევთ სიარული. მესამე ბლოკი ინფრასტრუქტურული პროექტების გახსნორკე-

ელების ახალ პრინციპებზე გადაყვანის გეგმაა. ქუთაისი-სვანეთის, გომორაჭისა და ქუთაისი-სამხრეთ საქართველოს დამაკავშირებელი გზების, ლარსი-მცხეთისა და თბილისი-ზაზღერამიჯანის ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობა. „ჩვენ მალე შემოგატანებთ ამ პროექტების დამქარების გეგმას, რომელიც 2023 წლის ნაღებზე 3-4 წელიწადში უნდა დასრულდეს“, – ნაცხაძე კვირიკაშვილმა.

მეოთხე ბლოკი განათლების სისტემის რეფორმას შეეხება. პრემიერი ამბობს, რომ პროფესიულ განათლებაში გერმანული მოდელის დანერგვას აპირებს.

„უნივერსიტეტებში სახელმწიფო რესურსებს კონკრეტული ინდუსტრიების მოთხოვნის მიხედვით გადანაწილებთ, – აღნიშნა პრემიერმა, – დღეს ჩვენი რეალობა ასეთია: ვუშვებთ 10-ჯერ მეტ ბანკირს, იურისტს, საგარეო ურთიერთობათა სპეციალისტს, ვიდრე ეს გაჭირდება. ანუ პოტენციურად დაუსაქმებელ კადრებს ვანარმოებთ. ამ დროს არ გცავს მეცხოველეობის, კვების რემეწვლობის ტენოლოგიების სპეციალისტები, ვეტერინარები. ბიზნესს უწევს საჭირო კადრების უცხოეთში გაგზავნა, დაკვალიფიერება, რაშიც უამრავ რესურსს ხარჯავს. ეს არ უნდა გარკველდეს!“

2017 წელს დაიწყება საპენსიო რეფორმის განხორციელება. პრემიერმა ბიზნესმენებს განუცხადა, რომ განსაკუთრებით ინვესტიციების მოზიდვის უჭოთხით გეგმავს გააქტიურებას, ურთიერთობას უცხოელებთან და ვიზიტების გაზრდას. **რა თემა უნდა, ბაზრდოლი ვიზიტები, ბაზრდოლი საბიუჯეტო ხარჯვები, მანრამ იმხდა ღირფაჟ კიდეც ან, ინფაციტივის? ჩადება სამრეწველო ინფაციტივის მონაზიდაჟი?**

თავი მესამე

© სამართლიანობა აღსდგა

2004 წელს ტელეკომპანია „იბერიის“ დახურვის და სამაზნელობო ლიცენზიის იძულებით ჩაბრუნების ფაქტზე მთავარმა პროკურატურამ საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორს სურათი ადგიმელს და გენერალურ პროკურორის ყოფილი პირველ მოადგილეს გიორგი ლაცაბიძეს ბრალი წაუყენა.

მთავარი პრეზენტაციის გან-

ცნადებას უცვლელად გთავაზობთ:
 „საქართველოს მთავარი პროკურორის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ გახსნილია 2004 წელს სახელმწიფო ხელისუფლების თანამდებობის პირების მიერ ტელეკომპანია „იბერეის“ დაზუსტების და სამაუწყებლო ლიცენზიის იძულებით ჩამორთმევის ფაქტი. აღნიშნულ საქმეზე, დღეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და გენერალური პროკურორის ყოფილი პირველი მოადგილე გიორგი ლაცაბიძე.“

ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგენილია, რომ 2004 წლის იანვრის თვეში, საქართველოს ახლადარჩეული ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მათ შორის გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა გადამწყვიტეს ხელში ჩაეგდოთ „ომეგა ჯგუფის“ კუთვნილი ტელეკომპანია „იბერია ტვ“-ს სამაუწყებლო ლიცენზია, რათა ტელევიზია ხელისუფლების მიერ ყოველიყო კონტროლირებადი. ამ მიზნით, შემუშავებულ იქნა დანაშაულებრივი გეგმა, რომლის განხორციელებაც საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა და მისმა მოადგილემ გიორგი ლაცაბიძემ ითავეს.

გიორგი ლაცაბიძის ხელმძღვანელობით გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო გამოძიება და საგადასახადო რევიზია ბიზ-

ნესმენ ზაზა ოქუაშვილის კუთვნილი „ომეგა ჯგუფის“ მიმართ, რომელიც იმჟამად საქართველოში ახორციელებდა ტელემაუწყებლობას „იბერია ტვ“-ს სახით, საგამომცემლო და სამენარბეო საქმიანობას.

ამასთან, „ომეგა ჯგუფის“ ყველა ოფისში, მათ შორის ტელეკომპანია „იბერიაშიც“ განლაგდნენ სპეციალური დანიშნულების რაზმის წევრები, დალუქეს კომ-

მადგენლები იძულებულნი გახდნენ, თანსმოპა განეცხადებინათ ტელეკომპანიის სამაჟნყებლო ლიცენზიის დათმობის უკანონო მოთხოვნაზე და მოგვიანებით აის შესახებ გიორგი ლაცაბიძეს აცნობეს.

ამის პარალელურად, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა თავისთან დაიბარა იმჟამინდელი ტელეკომუნიკაციების მარეგულ-

ვილის მიერ წინასწარ მომზადებულ დოკუმენტებზე, რომლის თანახმადაც შპს „იბერია ტვ“ გაიყო ორ სუბიექტად და სამართალმემკვიდრეებად გამოცხადდნენ შპს „ტელევიზიონაპანი აისი“ ტელევიზიის ნაწილი, რომელსაც გადაეცა $\text{№}702$ საერთო საერთო ტელერადიომაუწყებლობის ლიცენზია და შპს „იბერია TV“, რომელსაც გადაეცა დანარჩენი ქონება. აღნიშნულის შედეგად

**ზუგაბ ადუიშვილი და
გიორგი ლასაბიძე
პასუხისმგებელი პირები**

პანიის ინვენტარი, პროდუქცია და მომუშავე პერსონალი შენობებიდან გამოყარეს, რამაც შედეგად გამოიწვია ტელეკომპანია „იბერიის“ და გაზეთ „ახალი ეპოქის“ საქმიანობის შეწყვეტა და წარმოების გაჩერება.

აღნიშნულის შემდგომ, 2004 წლის შემოდგომაზე, გიორგი ლაცაბიძე გენერალური პროკურატურაში დაიბარა „ომეგა ჯგუფის“ წარმომადგენელი ლევან ალდგომეძის შვილი, რომელსაც „ომეგა ჯგუფის“ კომპანიების მიმართ სახელმწიფოს მხრიდან შექმნილი პრობლემების მოგვარების და კომპანიის ტერიტორიიდან სპეციალური დანიშნულების რაზმის გაყვანის სანაცვლოდ „იბერია ტვ“-ს სამაუწყებლო ოცენების დთომოზე კატეგორიულად მოსთხოვა.

ვინაიდან ხსენებული პირობის შესრულება „ომეგა ჯგუფის“ ბიზნესის გადარჩენის და საქმიანობის გაგრძელების ერთადერთი გზა იყო, კომპანიის წარმო-

ლირებელი კომისიის თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი და აცნობა, რომ ტელეკომპანია „იბერია ტი“ ხელისუფლების წინააღმდეგ მოქმედებდა, რის გამოც ტელეკომპანიის მაუწყებლობა უნდა შეწყვეტოდა, ხოლო მაუწყებლობის ლიცენზია ხელისუფლების კონტროლქვეშ მოქცეულიყო, რა მიზნითაც დიმიტრი ქიტოშვილს უნდა უზრუნველყო წილების დათმობის და გადაფორმების იურიდიული პროცედურები და მოეძებნა სანდო პირი, რომელსაც ლიცენზიას გადასცემდნენ.

პროკურატურის მიერ შემუშავებული ლიცენზიის დათმობის დანახაშულებრივი გეგმის თანახმად, 2004 წლის 7 დეკემბერს, ლევან აღდგომელაშვილი და „იბერია ტე“-ს აღდგომელები დაიბარეს კოსტავას ქუჩაზე მდებარე სანოტარო ბიუროში ნოტარიუს ნუნუ გირტურთან, სადაც ხელში მონაწირეს დიმიტრი კიტოშ-



გად, „რეტელეკომპანია აისის“ დირექტორი, 100% ნილის მფლობელი და შესაბამისად, ტელევიზიონაშუაყვებულობის ლიცენზიის მესაკუთრე გახდა დიმიტრი ქიტოშვილის მეგობარი დავით კაკაშვიდი, ხოლო შემდეგ ბიძინა ნიჭარაძე.

2007 წლის 12 სექტემბერს,
ზურაბ ადგიშვილის მითითებით

დამიტრი ქიტოშვილმა ტელეკომპანიის ლიცენზია საკუთარი მეგობრის ბიძინა ნიჟარაძისგან ფიქტიური ხელშეკრულებით ზურაბ ადეიშვილთან დაკავშირებულ პირზე იოსებ მგელაძეზე გადაფორმა, რომელმაც თავის მხრივ 2012 წლის 21 თებერვალს იგი შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპს“ გადასცა და ლიცენზია კვლავ ხელისუფლებასთან დახალეობული პირის გიორგი არჯვალაძის ხელში აღმოკნდა.

მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ომეგა ჯგუფის“ მფლობელებმა შესარულებ საბაჟსა და ლიცენზიის დათმობის მოთხოვნა, მთავრობის დადგენილებით მოხდა „ომეგა ჯგუფის“ გადასახადების რესტრუქტურისაცა და სპეციალური დანიშნულების რაზმის წარმომადგენლებმაც დატოვეს „ომეგა ჯგუფის“ ტერიტორია.

ტელერადიომაძეველობის ლიცენზიის იძულებით დათმობას კი შედეგად მოჰყვა დამოუკიდებელი ტელეკომპანიის ფუნქციონირების შეწყვეტა.

საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს და მის მოადგილეს გიორგი ლაცაბიძეს ბრალდება ეარედიცინათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით.

ამასთან, საქართველოს პროკურატურა აგრძელებს გააძლიერებს „ომედა ჯგუფის“ კომპანიებში სამართალდაცავების მხრიდან კომპანიის ქონების დაზიანების და ბიზნესმენ ზაზა ოქუაშვილის მიმართ განხორციელებული ზეწოლის ფაქტებით დაკავშირებით, რომელიც ხორციელდებოდა იმპაინდელი ხელისუფლების მალღობი თანამშრომლობის პირების დავალებით, რის შედეგების შესახებაც პროკურატურა საზოგადოებას ინფორმაციას გამოიყვანს დასრულებისთანავე მიწვდის“, – აღნიშნულია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

ცნობილმა ანალიტიკოსმა აგრავამ შერეულია 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობის შტურმთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს, ასევე აფხაზეთის მთავრობის იმჟამინდელი ხელმძღვანელის შიშული შარტავასა და სოხუმის მერის გურამ გაბასკირიას დღემდე გამოუძველებელ საბუთებს მოუყარა თაბი.

„ქვემოთ მოცემულია სადღეისოდ არსებული ყველაზე სრული ჩამონათვალი მტკიცებულებებისა, რომელიც 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შტურმს, ასევე აფხაზეთის ქართული მთავრობის ხელმძღვანელის შიშული შარტავას და სოხუმის იმჟამინდელი მერის გურამ გაბესკირიას საბუთებს შეეხება.

გაბესკირია და შარტავა ტყვედ ყაბარდოელმა მოხალისეებმა აიყვანეს, რომელთაც შტურმი განახორციელეს. მათვე ჩააბარეს ქართველმა მაღალჩინოსნებმა საბუთები. შემდეგ აფხაზეთის ქართული ხელი-სუფლების წარმომადგენლები აფხაზურ ძალებს გადასცეს, რომლებმაც ისინი დახვრიტეს.

გურამ გაბასკირი, სოხუმის მერი

მტკიცებულებები:

1. მინისტრთა საბჭოს შენობის შტურმი. ქუშბატიევი ა.ვ. ყაბარდოელი მოხალისეები 1992-1993 წლების ომში. ნალჩიკი, მ. და ვ. კოტილაროვების გამოცემლობა, 2008. გვ. 76-79.

1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის ცენტრში დაიწყო აფხაზეთის რესპუბლიკის მთავრობის სახლის (მინისტრთა საბჭოს შენობის) გათავისუფლების ოპერაცია. ეს ოპერაცია უფრო დეტალურად უნდა განვიხილოთ, რადგან ბოლო დროს ივინყებენ ან მაღავენ, კონკრეტულად რომელმა ქვედანაყოფმა განახორციელა შტურმი. აფხაზი ავტორების წიგნებსა და სტატიებში, რომელიც 1992-93 წლების ომს ეძღვნება, ყოველგვარი დეტალების გარეშე მხოლოდ ისაა მოყვანილი, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების დანაყოფები ათავისუფლებდნენ მთავრობის სახლის შენობას. ეს ოპერაცია „ცხელ კვალზე“ შუქდებოდა პერიოდულ გამოცემებში.

27 სექტემბერს ყაბარდოელთა სადაზვერვო-საშტურმო ჯგუფი მ. შოროვის ხელმძღვანელობით, აფხაზური ჯარის სხვა დანაყოფების მსგავსად, ცდილობდა, მინისტრთა საბჭოს შენობას მიახლოებოდა. დღის 9 საათზე, როდესაც ჯგუფი ქუჩაში, პროკურატურის შენობასთან იმყოფებოდა (ეს ქუჩა გვერდოდან გადის მინისტრთა კაბინეტის შენობისკენ), რაციით გადაიცა ცნობა: „77-ე, გადადგილდით მინისტრთა საბჭოსკენ, იგი უკვე აღებულია“. მოხალისეები ისვენებენ, რომ დამწუხრდნენ, როცა შეიტყვეს, რომ მთავრობის სახლი მათ გარეშე აიღეს. როდესაც მეზობლები შენობის მარჯვენა ფრთის მხრიდან მოედნის კიდეზე გავიდნენ, ცენტრალური კორპუსის (ყველაზე მაღალი კორპუსი) ზედა სართულებიდან და მარჯვენა ფლიგელის მეორე სართულის ფანჯრებიდან ჯგუფს ტყვიამფრქვევებიდან და ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. მოხალისეები დაიქსაქსნენ და თავშესაფრებში გადაიმალნენ. ჩათვალეს რა, რომ თავისიანები ესროდნენ, რადგან ქართული ქვედანაყოფი ეგონათ, მათ აფხაზური დროშის ქვევა დაიწყეს შეძახილებით „აფსუა!“ („აფხაზი“), თუმცა ცეცხლის შეწყვეტის ნაცვლად, მათზე თავდასხმაში ჩაერთო БРДМ-2, რომელიც ცენტრალურ შესასვლელთან იდგა. მალე მოხალისეებმა შენობის თავზე და მის წინ აღმართული ქართული დროშები დაინახეს. ცხადი გახდა, რომ შენობაში მოწინააღმდეგე ქვედანაყოფები იყვნენ. როგორც მოხალისეები ისვენებენ, მათ უმაღლესი დანიშნულება შტურმისთვის და გაუხარდათ კიდეც,



თქვენ ჯერ არ იხით, რა პირისუპილავს აგოუღაქით გვერდში!

ვინ აიღო აფხაზეთის მთავრობის სახლი? შარტავას საბუთები და მგაცხადებები. რომელიც პირველად ქვეყნდება

რომ ქართული ჯარის საუკეთესო ქვედანაყოფებთან ბრძოლა მოუწევდათ აფხაზეთის მთავრობის შენობის გასათავისუფლებლად. ვიდუროჩან ერში, რომელიც ოპერაციის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრეა გადაღებული, მინისტრთა საბჭოს შენობის მიმდებარე არ ჩანს არანაირი სხვა ძვირფასი, ყაბარდოელთა საბუთების გარდა.



შტურმი 10:30 სთ-ზე შენობის მარჯვენა მხრიდან დაიწყო. შენობის ცენტრალური კორპუსის ზედა სართულებიდან ყაბარდოელებს უკრაინული ორგანიზაცია УНА-УНСО-ს სპეცრაზმელები ესროდნენ. მათი სნაიპერული ცეცხლის ჩასშობას

ყაბარდოელთა ჯგუფის მეთვლიამფრქვევე და სნაიპერები ცდილობდნენ. ქვედა სართულებიდან და მარჯვენა ფლიგელის მეორე სართულის ფანჯრებიდან ედუარდ შე-

ვარდნაძის დაცვის ნევერი სპეცრაზმელები და აფხაზეთის საოკუპაციო მთავრობის წევრები ისროდნენ ყიული შარტავას თაოსნობით (დაახლოებით 150 კაცი). შენობის შესასვლელთან კი, მოედანზე მანევრებდა БРДМ-2, რომელიც შტურმის მონაწილეებს КПВТ და ПКТ ტიპის ტყვიამფრქვევებიდან ესროდა. მალე ყაბარდოელებს მარშალ ბაგრატიანის სახელობის ბატალიონის მეზობლები ამოუდგნენ გვერდში. მათ მთელი მოედნის გასწვრივ (დაახლოებით 800 მ) ტყვიამფრქვევებიდან და ფუმბარმტყორცნიდან გახსნეს ცეცხლი. ყაბარდოელებს ასევე საზენიტო დანადგარმა ЗУ-23-2 აღმოუჩინა დახმარება. მოხალისე არტურ კარმოკოვი ღია ტერიტორიაზე გაიჭრა და РПГ-7-ს გამოყენებით ააფეთქა БРДМ-2, თუმცა მალევე სნაიპერის ტყვიით დაიღუპა.

მოხალისეები დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში იბრძოდნენ, რათა მისი ცხე-დარი გამოეტანათ. მოგვიანებით გაირკვა, რომ ქართველი სნაიპერები მონამულ ტყვიებს იყენებდნენ.

მალე შტურმი განახლდა. ყაბარდოელებმა ცეცხლმტყორცნი „Шмель“-იც გამოიყენეს, რომელიც მანამდე შენობაში ხანძრის გაჩენის საშიშროებიდან გამოდინარე, არ გამოყენებულა. მოწინააღმდეგე მარცხენა ფლიგელში გადაინაცვლა და იქიდან გააგრძელა ცეცხლი. ამ დროს შემოსწრებულმა აფხაზურმა ტანგმა შენობის მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა და გაქრა. შტურ-

მის დაწყებიდან 4,5 საათში მარცხენა ფლიგელის მეორე სართულის ერთ-ერთ ფანჯარაში თეთრი პირსახოცი გამოფინეს. კიდევ რამდენიმე წუთში შენობიდან უიარაღო ადამიანი გამოვიდა თეთრი პირსახოცით ანეულ ხელში. მასთან, ასევე უიარაღოდ, მ. შოროვი და ა. შიხალიევი მივიდნენ. მომლაპარაკებელმა მათ ყიული შარტავას წინადადება გადასცა, მათთვის დერეფანი გაეკეთებინათ, რომლითაც ქალაქიდან გავიდოდნენ, თუმცა მას უპასუხეს, რომ მისაღება მხოლოდ ერთი პირობა: „ცოცხლად გადაარჩინოთ ჩემი ტყვედ გარდაცემი, დახრიალეს გაანავაშთ სამადიციწინო დახმარება. წინააღმდეგ შემთხვევაში 15 წუთში შტურმი განახლდება და მათ გაანადგურებან“. ამის შემდეგ 15-20 წუთში გამოსულმა იგივე მომლაპარაკებელმა ყაბარდოელებს ამცნო, რომ შარტავა თანახმა იყო, ჩაჰპარებოდა მხოლოდ ყაბარდოელებს.

შოროვმა და შიხალიევმა საპასუხოდ განაცხადეს, რომ მინისტრთა საბჭოს შტურმში მხოლოდ ყაბარდოელები მონაწილეობენ. როდესაც მოხალისეები მომლაპარაკებელთან ერთად შენობის მეორე სართულზე ავიდნენ, იქ ერთ ოთახში დარჩენილმა ქართველმა სპეცრაზმელებმა (დაახლოებით 30 კაცი) და საოკუპაციო მთავრობის წევრებმა იარაღი და ამუნიციია იატაკზე დაყარეს.

როცა გაარკვია, თუ რომელი იყო ყიული შარტავა, შოროვმა მას განუცხადა: „თქვენ დაკავებული ხართ!“. შარტავამ ითხოვა, განემარტათ, ვინ იმჟამინდელი მთავარი იყო.

შოროვმა უპასუხა: „ყაბარდოელთა ჯგუფის მეთაური, აფხაზური არმიის მაიორი შოროვი“. შარტავამ იარაღი ჩააბარა (გენერლის ვერცხლისფერი პისტოლეტი და მოკლე ავტომატი), ასევე გადასცა საქართველოს პარლამენტის დეპუტატის მოწმობა. თავისი საბუთი ჩააბარა სოხუმის მერმა გურამ გაბესკირიამაც. მათ გარდა, ჩაბარდნენ საოკუპაციო მთავრობის პოლიციისა და კანცელარიის უფროსები. შარტავამ ჩაწერა თავისი ბლოკნოტში, ვის მიერ და რა ვითარებაში იყო დაკავებული. ჩაბარდა 26 ქართველი სპეცრაზმელიც. ტყვეებმა განაცხადეს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობამ ისინი შეცდომაში შეიყვანა და მუდმივად ატყობინებდა მათგან მიმავალი სხვადასხვა დახმარების შესახებ, რომელიც რეალურად, არც იყო დაგეგმილი. როდესაც შეიტყვეს, რომ ეს ტყუილი იყო, უკვე გვიანი იყო. 14:30 სთ-ზე ყაბარდოელი მოხალისეები აბავეი და ხაგაჟევი შენობის სასულავზე აძვრნენ და აფხაზური დროშა აღმართეს წარწერით „ყაბარდოელთა ჯგუფი. 27.09.1993“. ერთ-ერთი ფანჯრიდან კი ჩერქებული (ადილური) ეროვნული დროშაც გადმოვიწესა.

შენობის ზედა სართულების შემოწმების შემდეგ მოხალისეებმა დაადასტურეს, რომ იქ მოკლული უკრაინელების ბევრი ცხედარი იყო. დაიწყეს ტყვეთა გაყვანა მარცხენა ფლიგელის სადარბაზოდან. მოედანი საცხე იყო აფხაზური ჯარის სხვადასხვა შენაერთების წარმომადგენლებით. ისმოდა შეძახილები „Агәйра!“ („გამარჯვება“ – აფხაზურად), ისროდნენ ჰაერში. აფხაზეთის რესპუბლიკის დედაქალაქის – სოხუმის გათავისუფლების ოპერაცია დასრულებული იყო.

იხ. 8 გვ.

სასამართლო

წულუკიანი ჰაბაელ გამოიძიებლავს შეხვდა

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, მინისტრის მოადგილე გორა ლორთქიფანიძესთან ერთად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სამუშაო ჯგუფის წევრებს შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის წარმომადგენლები.

ჰაბაელის სასამართლოს დელეგაციის ვიზიტის მიზანია საკუთარი მანდატის გატანა ქართული მხარისათვის და თანამშრომლობის სამომავლო ჩარჩოს განსაზღვრა.

„ეს ვიზიტი არის ქალბატონ ფატუ ბენსუდას ოფისისა და ჰაბაელის სასამართლოს ერთობლივი ვიზიტი, რომელიც სამუშაო შეხვედრების სახით ჩაივლის ორი დღის განმავლობაში, და ეს საშუალებას მოგვცემს, დავსახოთ ერთობლივი თანამშრომლობის უკვე კონკრეტული ნაბიჯები გამოძიების პროცესში. ჩვენ ვისაუბრეთ ისეთ მნიშვნელოვან თე-

მებზე, როგორიც არის მოწმეთა დაცვა და უსაფრთხოება, რომლებმაც საკუთარი ინდივიდუალური გამოცდილების საფუძველზე ჩვენებები უნდა მისცნ გამოძიებლებს იმ ეთნიკური წმენდის შესახებ, რომლებიც ჩატარდა აგვისტოს ომის დროს ქართველების წინააღმდეგ. ვისაუბრეთ ისეთ ტექნიკურ, მაგრამ მნიშვნელოვან თემებზეც, როგორიც არის, მაგალითად, ქართულიდან ინგლისურზე ამ ჩვენებების თარგმანი. საქართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ჩვენი სამართალდამცველები და სხვა სამინისტროები თანამშრომლებენ პროკურორის ოფისთან; რომ ჩვენთვის სასიცოცხლო საკითხები, მათ შორის, ეთნიკური წმენდა, კულტურული მემკვიდრეობის განადგურება, სამხედრო ტყვეების საქმეები, იქნეს ბოლომდე გამოძიებული“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.



Х0-008-060

ბასსულ კვირას ახალგაზრდობასთან შეხვედრაზე რუსეთის პრეზიდენტმა კიდეც ერთხელ სასიამოვნოდ გააოცა ადამის მოდგმის უმრავლესი კონსერვატიული (ნაიკითხე, ზნეობრივი) ნაწილი და შესაბამისად შეაშფოთა აგრესიული ნეოლიბერალები (ნაიკითხე, უზნეო, ამორალური), ნეოტროცკისტები, კაცობრიობის უმცირესი ნაწილი, რომლებიც, სამწუხაროდ, მართავენ დასავლურ საზოგადოებას და უფრო მეტიც, პრეტენზია აქვთ მთელი მსოფლიოს მართვისად!

ვლადიმერ პუტინმა ისაუბრა ე.წ. რუსული იდეის შესახებ, რომლის ძიებაშიც არის პოსტსაბჭოთა რუსეთი და იქვე კითხვაც დასვა ახალგაზრდათა წინაშე — რა შეიძლება იყოს ის იდეა, რომლის გარშემო შეიძლება გაერთიანდეს რუსეთის ფედერაციაში (ნაიკითხე, იმპერიაში) შემავალი სხვადასხვა ერები და რელიგიური კონფესიები?

და ამ რთულ კითხვას რუსეთის პრეზიდენტმა იქვე მარტივად უპასუხა:

სამშობლო და პატრიოტიზმი...

აქედან გამომდინარე ბუნებრივად ჩნდება მარტივი კითხვა:

რა შეიძლება საიამოვნებდეს ერთსა და აშფოთებდეს მეორეს?

აი, ამ კითხვას კი მარტივი პასუხი ვერ ექნება, რადგანაც პასუხის ძიებისას ისტორიაში მოგვინებს ქექვა. ისტორიაში, რომელიც ზოგადად ყველა ნორმალური საზოგადოებისთვის, „პური ან სობისა“...

ადრეც გვითქვამს და ახლაც ვიმეორებთ, რომ XX საუკუნისგან განსხვავებით, რომელიც ასოცირდება ისეთ ავტორიტეტულ პოლიტიკურ ვარსკვლავებთან, როგორებიც იყვნენ მაჰათმა განდი, სტალინ-რუზველტ-ჩერჩილის ტრიუმფირატი, შარლ დე-გოლი, ჯონ კენედი, გენერალ მარგარეტ ტეტჩერი თუ რონალდ რეიგანი და ა.შ. თანამედროვე პოლიტიკაში ასეთები აღარ არიან!

ერთადერთი ავტორიტეტული პიროვნება და პოლიტიკური „ვარსკვლავი“, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინია!

ეს, რომ სივარტელა და არა თქვენი მონა-მორჩილის სუბიექტური ახირება, ამახსოვრებდა დასავლეთში, მათ შორის აშშ-ში მრავალგზის გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომელთა მიხედვითაც პუტინი ობამას აშკარად შუაშეაღწეოდალი ჰანდიკაპით უშვებს და აბა სხვა, ობამას ფინია „ეპროკალი ლიდერები“ რაღა სხსენებდნენ არიან...

ბრიტანული წამყვანი გაზეთების მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ლიდერი, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი გამოირჩევა არა მხოლოდ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებით, კაცობრიობის ცხოვრებას რომ ცვლის, არამედ, როგორც სხვადასხვა განცხადებების ოსტატი და, რა თქმა უნდა, როგორც ავტორი გონებასწავლური გამონათქვამებისა, რომლებიც პუტინის უკვე იმდენი დაუგროვდა, რომ არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში მისი ავტორიტეტის სქელტანინი კრებულზე გამოვიდეს.

ავტორიტეტისა რა მოგახსენოთ, რადგანაც ახლა წამდგომად არ გვევაფორიზება ქართველებს, მაგრამ ერთს კი ვიტყვი — ზემოთ თქმულს არაფრის დიდებით არ ალია-



„ჭკვიანი მტრისგანა“ მეტი უნდა ვისწავლოთ!

რებენ ჩვენი ბსუბი, ე.წ. არასამთავრობო ბსუბი, რადგან სიმართლის აღიარებაში ის სლოკინი უშლით ხელს, რომელსაც დასავლეთიდან წამოსული გრანტების ღორული თქველვა იწვევს...

პუტინმა ყველაზე გულწრფელი პატივისცემა მაშინ დაიმსახურა, როდესაც სელი მონაწილე პომოსესუალიზმის პრობაგანდის ამერძალად კანონს. აი, რა რეაქცია გამოიწვია ამ ფაქტმა ნორმალურ ამერიკელებში, რომლებიც, ვიმედოვნებ, ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაა: „მე ვინ ვიყავი რუსეთის შეფარებას“; „მე მომწონს პუტინი, ის ისეთი პრეზიდენტი, რომელიც ჩვენ, ამერიკელებს, გვჭირდება და არა ის, რომელიც ახლა თეთრ სახლშია მოკალათებული“; „ბრაუო პუტინი მადლობა ღმერთს, მსოფლიოში. დარჩა ერთი საღად მოაზროვნე ლიდერი“; „როგორც იქნა, ერთი ნორმალური ქვეყანა აუჯანყდა ამ საგოგნო სიციფეს“; „რუსეთი აღდგება თავის სიდიადეში, რომელიც ეფუძნება ზნეობას“; „რონალდ რეიგანი, იმის შემხედვარე, როგორ იწვევს გაბრწყინებას რუსეთი, სოლო ამერიკა გდება ანალური ჯოჯოხეთი, კუბოში ტრიალებს“.

პუტინს ეკუთვნის აგრეთვე გამონათქვამი, რომ „რუსეთის პრობლემების საფუძვლები ზნეობრივ საკითხებშია“ და ისიც, რომ „ერთსქესიანთა ქორწინებების დაკანონება თუ აკრძალვა, ეს, პრაქტიკულად, არჩევანია ღმერთსა და სატანას შორის“...

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ვლადიმერ პუტინი დასავლეთშიც კი აღიარებულია, როგორც არა მხოლოდ პოლიტიკური ვარსკვლავი, არამედ ლეგტიმარეცხილებასთან მებრძოლი ზნეობრივი ლიდერი, რადგანაც დასავლეთის მოსახლეობის უმრავლესობა ისევე განიცდის „ანალური ჯოჯოხეთში“ ცხოვრებას, რო-

გორც ამ ჯოჯოხეთის მომლოდინე საქართველო!

არსებობს მოსაზრება, რომ რუსეთში, ე.წ. შემოქმედებით ინტელიგენციას არ უყვარს პუტინი?!

თუმცა, გააჩნია ვის მივიჩნევთ რუსეთის ინტელიგენციად: მაკარევიჩებს, ახედჯაოვებს, სვანიძეებს, განაპოლსკებს? და ა.შ.

ესენი იმ ლიბერალების მემკვიდრე ნეოლიბერალები არიან, რომლებიც 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომში გამარჯვებულ იაპონიის იმპერატორს რუსეთიდან მისალოც დეპეშებს უგზავნიდნენ!

ესენი იმ ტროცკისტების მემკვიდრე ნეოტროცკისტები არიან, რომლებმაც გასული საუკუნის 20-იან წლებში ღმერთიც უარყვეს, სამშობლოც და პატრიოტიზმიც, ანუ ყველაფერი ის, რაც დღეს პუტინმა ეროვნულ იდეოლოგიად გამოაცხადა!

ესენი იმ ზინოვიევის იდეური შვილები არიან, რომელმაც მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის ბოდიშ მოლოდინში 1934 წელს გაზეთ „პრავდაში“ გამოაქვეყნა „მონინავე სტატიკა“, რომელშიც ის პირდაპირ მოუწოდებდა, რომ სსრკ-ს არ სჭირდება ჯარი, ინდუსტრიალიზაცია და თვით წითელი სსრკ-ც აღარ იქნება საჭირო, რადგანაც მსოფლიო რევოლუცია მთელს პლანეტას გაანითლესო და ამისთვის მიაყენა სტალინმა ტროცკისტი ზინოვიევი კედელთან!

სტალინმა, რომელმაც, როგორც დღეს პუტინმა, სამშობლო, ოჯახი და პატრიოტიზმი გამოაცხადა წითელი იმპერიის იდეოლოგიად და რომ არა ეს, ავტორიტეტულ უცხოელ ანალიტიკოსთა აზრით, 1945 წლის 9 მაისი არ იქნებოდა!

ნაცნობი სურათია არა?

ქართველებსაც გვეყვანან ჩვენი მა-

კარევიჩები ე.წ. შემოქმედებით ინტელიგენციაში, რომლებიც, როგორც წესი, 30 ვერცხლად იყიდებიან!

რუსეთის პრეზიდენტმა უკრაინასა თუ სირიაში კუნთების თამაში ეროვნული იდეოლოგიითაც გაამაგრა, მაგრამ ჩვენ, ჩვენ რა იდეოლოგია გვაქვს?

რა და ნატოს კარებზე ფხაჭუნი, რომელიც ახლა ნატოს ფანჯარაზე ფხაჭუნით შეგვიცვალა თინა ხიდაშელმა!

ქვეყნის შიგნით კი, პრაქტიკულად „ასოები“ მართავენ უთავმოყვარეო ხელისუფლებას!

თუ რუსეთს აქვს საქართველოს ტერიტორიის 20 % დროებით მიტაცებული, დანარჩენი 80 % ბრიუსელს, სტრასბურგსა და ვაშინგტონს აქვთ ზნეობრივად „ოკუპირებული“!

მათი რეკომენდაციების (ნაიკითხე, ბრძანებების) გარეშე ნაბიჯს ვერ დგამს საქართველოს მარიონეტული ხელისუფლება და ეს არის ჩვენი ყველა უბედურებების სათავე!

გახსოვთ ალბათ, როგორ საგანგებოდ ეწვია ჩვენს უწმინდეს პატრიარქს ევროპელი ხლისტების ბელადი, შტეფან ფულე — არიქა, ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეთ, ეს არ ნიშნავს ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონებასო?!

სწორედ ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძველზე შეიტანა სარჩელი ქალბატონმა თუ ვაჟბატონმა მაცაცომ საკონსტიტუციო სასამართლოში — გათხოვება მინდა და ერთსქესიანი ქორწინებები დააკანონეთო!

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე გამოდის, რომ საქართველოს ეროვნული იდეოლოგია არის: ნატო, ასო, ანტიდისკრიმინაციული კანონი და ე.წ. გამოხატვის თავისუფლება და... ვაი ჩვენი ბრალი ამათ ხელში!

და ბოლოს, რუსეთის პატრიარქის რომის პაპთან შეხვედრაც გარკვეულწილად პუტინის ეროვნული იდეოლოგიის გაგრძელებაა!

თითქმის 1000 წელიწადია, ანუ მას შემდეგ რაც კათოლიკური სარწმუნოება გამოეყო სამოციქულო მართლმადიდებელს, ანუ, ქრისტეს მიერ დაფუძნებულ ეკლესიას, რუსეთის პატრიარქი რომის პაპს არ შეხვედრია?!

მიუხედავად ამისა, მაინც სასიამოვნო და დროულაა, რომ ორმა უმაღლესმა ქრისტიანმა იერარქმა ერთობლივი პოზიციები დააფიქსირეს აბორტების, ევთანაზიების სანაღამდეგოდ და ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტის მხარდაჭერაში და უფრო მეტიც — ევროპას მოუწოდეს ქრისტიანული ღირებულებების კენ პატივისცემისკენ!

ეს შეხვედრა კუბის (არა მხოლოდ ფიდელ კასტროს კუბის) თავისუფლების სიმბოლოა, პოეტ ხოსე მარტის სახელობის აეროპორტში შედგა, რომლის შენობის ფასადს ამშვენებს პოეტის ფრაზა: „სამშობლო კაცობრიობაა, კაცობრიობა კი ადამიანურობა“...

თუმცა, რუსულად უფრო კარგად ჩანს სიტყვათა თამაში: Родина это человечество а человечество это человечность...

დავით მხიპია



© თხა თხაზა ნაკლები....

სამხედრო წვრთნებში პარტინათს ეჭიბრიბიან



რომორც Риа Новости რუსეთის სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულის, სამხრეთის სამხედრო ოლქის პრესსამსახურზე დაფრდნობით იტყობინება, სწავლებაში ოლქის სადაზვერვო ქვედანაყოფების სამხედროებმა მიიღეს მონაწილეობა.

სწავლების ფარგლებში, სამხედროებმა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე პირობითი ტერორისტები აღმოაჩინეს და მათი ლიკვიდირება მოახდინეს.

სწავლება ცაბალის სამხედრო პოლიგონზე ჩატარდა.

* * *

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის კატარღებმა და ნატო-ს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსანაღმდეგო შენაერთის (SNMCMG2) სომალდებმა ერთობლივი სწავლებები ჩაატარეს. წვრთნები ნატოს ტაქტიკური სახელმძღვანელოს გამოყენებით ერთობლივ საზღვაო მანევრებს მოიცავდა. სო-

მალდებმა ზღვაზე ძებნა-გადარჩენის სამაშველო ოპერაციის დემონსტრირება მოახდინეს. შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის პირადმა შემადგენლობამ, ასევე, აბორდაჟის საჩვენებელი ოპერაცია განახორციელა, რაც დამრღვევი გემის შეჩერება-დაკავებას და სომალდზე მყოფი პირების შემოწმებას გულისხმობს.

ერთობლივ წვრთნებში მონაწილეობას შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის სამი ერთეულისა და ნატოს ტაქტიკური ჯგუფის ოთხი ერთეულისგან შემდგარი სომალდები იღებდნენ.

სწავლება ნატოს მუდმივმოქმედი მეორე ნაღმსანაღმდეგო შენაერთის (SNMCMG2) საპორტო ვიზიტის ფარგლებში გაიმართა. ერთობლივი წვრთნების დაწყებამდე, ბათუმს ნატოს გაერთიანებული საზღვაო ძალების სარდლობის შტაბის უფროსი, კონტრ-ადმირალი ჯორჯო ლაციო ეწვია, რომელიც შს მინისტრ გიორგი მღებრიშვილს შეხვდა.

XO-208-260, გელოანდუნი

საძარტველო დაწვებით სკოლებში (1-6 კლასები) ინგლისური ენა ისწავლება მკაცრი მიზნის გამოცდების უალტერნატივო სახელმძღვანელოებით English World, ავტორები Mary Bowen, Liz Hocking.

საბაზო სკოლისთვის არის ორი ალტერნატივა –

1. New Inspirations (Pearson) – ავტორები: Joanne Tayloreknwels, Carolyn Barraclough, Clare Walsh, Jill Florent, Megan Roderick

2. Top Score (Oxford University Press) – ავტორები: Book 1 – Paul Kelly, Book 2 – Jayne Wildman, James Styring. Book 3 – Michael Duckworth, Helen Halliwell, Kathy Gude.

საშუალო სკოლისთვის Gateway, David Spencer (MacMillan) – ალტერნატივის გარეშე.

უცხოური ენის სწავლების მეთოდიკაში საყოველთაოდ ცნობილია, რომ უნდა ხდებოდეს არა ენის სწავლება (მასწავლებლის მიერ), არამედ მისი შესწავლა (მოსწავლის მიერ), რაც მიიღწევა ისეთი თემატიკის შერჩევით, რომელიც ზედმიწევნით ახლობლური და შესაბამისად, საინტერესოა მოსწავლისთვის. ენა მოსწავლემ უნდა გაითავისოს, რომ შეძლოს და მოტივირებული იყოს აწარმოოს ამ ენაზე კომუნიკაცია. ეს განსაკუთრებით აუცილებელია დაწყებით სკოლაში.

სწავლების ყველა თემატიკის ცენტრში უნდა მოიაზრებოდეს „მე“ – შემსწავლელი. იმისთვის, რომ მას ჰქონდეს მოტივაცია – აწარმოოს ამ თემების ირგვლივ კომუნიკაცია.

სწორედ ასეთი თემატიკა არის წარმოდგენილი „მაკმილანის“ გამოცემოების სახელმძღვანელოებშიც დაწყებითი კლასებისთვის, მხოლოდ სხვა კუთხით,


ჩრდილოეთში მცხოვრები მომთაბარე ხალხების (სამების, ბედუინების, ტიბეტელების) ყოფის გაცნობას, ინკას ეპიზოდურად ხსენებას – შიკრიკის ეპიზოდს – რაც არ წარმოადგენს ქართველი დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის ინტერესს, და შესაბამისად, ვერ წარმოქმნის საუბრის წარმართვისა და პროექტის შექმნის, თავის საკუთარ რეალობასთან პარალელის გავლების მოტივაციას.

თემა: კულტურათა დიალოგი – გულისხმობს, რომ მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება პარალელური გაავლონ საკუთარ კულტურულ გამოცდილებასა და შესასწავლი ენის ქვეყნების გარემოსთან. სახელმძღვანელოებში მოცემულია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები, ხოლო მოსწავლეებისთვის „ნაცნობ“ გარემოდ მოიაზრება რუსეთი – ყველგან, სადაც ქვეყნების გარემო არის აღწერილი, ხაზ-

ვინ და რატომ ლობიობს „მაკმილანის“ სასკოლო სახელმძღვანელოებს?

გასმით ჩანს რუსეთი (ნაცვლად საქართველოსი).

- ცეკვის ფესტივალის შესახებ ინგლისელი მეთიუ და **რუსი ოლგა** საუბრობენ რუსული ბალეტისა და იაპონური მოცეკვავეების თემაზე,
- (დონე 3, გვ. 100) კოსმოსის თემა



– Michail, Vera, Valentina, Dima, Anna, Katya.

აშკარაა, რომ მოსწავლეებისთვის „ახლობლური“ გარემოს შექმნა იყო დაგეგმილი, რადგან საყოველთაოდ ცნობილი მეთოდური მიდგომაა – ენის შესწავლის დროს მოსწავლეებს შეეძინათ მათთვის გათვალისწინებული სიტუაციები, მხოლოდ ეტყობა, სახელმძღვანელოს ეს ვერსია, რომლითაც საქართველოში მოსწავლეები სწავლობენ, უკვე 5 წელია, **რუს მოსწავლეებზე** არის გათვლილი.

- სამიზნე ქვეყნის/ქვეყნების დღესასწაულებზე და ტრადიციებზეც მასალა არ არის.

– არც დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოში, არც საბაზო და არც საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებში (Top Score – Oxford University Press, New Inspirations, Gateway – MacMillan), ასე რომ, სტანდარტის მოთხოვნები აქაც არ დაკმაყოფილდა.

- ამ სახელმძღვანელოების დაძლევაზე ბევრად მეტი დრო სჭირდება, ვიდრე კვირაში 2-3 საათი.

● პროგრამის წარმატებისთვის მოაზრებული ყველა კომპონენტის არარსებობის პირობებშიც კი ორგანიზაციულად ძნელია ამ რაოდენობის მასალის მოსწავლეებს ჩვენს სკოლებში კვირეული 2-3 საათის დატვირთვით.

● შედეგად ბევრი სკოლა ვერ ასწრებს ერთი დონის სახელმძღვანელოს ერთ სასწავლო წელში მოსწავლეს, დაწყებითი სკოლისთვის გრიფირებული 6-ვე დონის წიგნის მე-7 კლასში დასრულებას. ძალაუფლებად მე-7 კლასში ისინი უმეტესწილად გადადიან საბაზო სკოლისთვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებზე ისე, რომ არ ამთავრებენ დაწყებითი სკოლის პროგრამას.

დაწყებითი სკოლის სახელმძღვანელოებიდან საბაზო სკოლის სახელმძღ-

ვანელოებზე გადასვლა არ ხდება **სიძნელის დონის თანდათანობით ზრდის** გათვალისწინებით. ასე მაგალითად:

- მე-7 კლასის სახელმძღვანელო New Inspirations უფრო ადვილია ლექსიკურად და გრამატიკულად, ვიდრე მე-6 კლასის სახელმძღვანელო English World 6.

● მე-10 კლასის სახელმძღვანელო „Gateway“ A2 უფრო ძნელია ლექსიკურად და გრამატიკულად, ვიდრე მე-11 კლასის B1.

დასკვნის სახით: ეს სახელმძღვანელოები არ არის გათვლილი საქართველოს სკოლებში სწავლებისთვის. ისინი არ არის გათვლილი საქართველოს სკოლების პროგრამაზე. არც ერთი ეს სახელმძღვანელო არ არის დაწერილი საქართველოს ეროვნული სტანდარტების მიხედვით, შესაბამისად, არ აკმაყოფილებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლის პირობებს.

დიახ, ასეთი შინაარსის სახელმძღვანელოები შემოიჭრნა განათლების სამინისტრომ 2011 (!) წელს ქართველი მოსწავლეებისათვის. მათი შედგენისას აშკარად რუსული ინტერესებია გათვალისწინებული. ამ წიგნებით გრძელდება სწავლება 2015-2016 (!) სასწავლო წელსაც. ამბობენ, რომ ხელშეკრულება 10-15 წლით არის დადებული და მისი შინაარსის შესახებ კი ინფორმაცია დახურულია (!!).

ცალკე საკითხია: ინგლისური სახელმძღვანელოების ფასები, ეს ფასები 3-ჯერ, 4-ჯერ და ზოგჯერ მეტადაც აღემატება ქართული გამოცემოების მიერ გამოცემული წიგნების მიზანმიმართულად ამოგადეს გრიფირებიდან ქართული გამოცემოებები: „ოცდამეერთე საუკუნე“, „ინტელექტი“, „დიოგენე“, „სულაჰურის გამოცემლობა“ (ამ მიზნით მათი ნაწილი გაკოტრების პირასაა). უფრო მეტიც: ახალი სასწავლო წლისათვის განათლების სამინისტროს ქართველი გამოცემოებისგან არც ერთი საგნის არც ერთი სახელმძღვანელო არ შეუძენიათ, მაშინ როცა ინგლისური გამოცემოებებისაგან ყოველგვარი ტენდერის გარეშე გაზრდილი ფასებით შეისყიდეს წიგნები.

რატომ იფლანგება ბიუჯეტის თანხები და რატომ ლობიობს თამარ სანიკიძე ინგლისურ სახელმძღვანელოებს?

თამარ ზასილაია

1 NICE TO MEET YOU

2 How old is it?

2 Reading

Look at the dialogue on page 14 of the Student's Book. Write questions for these answers.

1 Where's the Royal Pavilion?
It's in Brighton, near the beach.

2 It's about: 200 years old.

3 The London to Brighton Bike Ride is today.

4 It's at half past twelve.

5 It's twenty-five past twelve.

6 It's at quarter to seven tonight.

3 these/those and plural nouns

Rewrite these sentences in the plural.

1 That's your key. *Those are your keys.*

2 This is my friend.

3 This is your map.

4 That's your chair.

5 Is that his book?

6 This is her cat.

7 Is that your pen?

რომელიც შორსაა საქართველოს მოსწავლისთვის. მაგალითად:

- (დონე 2) სახლი, დალაგება – თემა განვითარებულია King Tub-ის სასახლის სიტუაციაში.
- (დონე 2) ოჯახის თემა – გოგონა Lucy-ს სიტუაციაში.
- (დონე 2) გასართობი ატრაქციონები – კარუსელი, საქანელა. რგოლები – მეფის მასხარა Biffo-ს ბაღშია.
- (დონე 2) სხეულის ნაწილების თემა – John-ის სიზმარში მოვლენილი მონსტრის მაგალითზე.

სახელმძღვანელოში მოცემული ქართველი მოსწავლისთვის ნაკლებ საინტერესოა უცხო ქვეყნის ბუნების დაცვის პრობლემა, მაშინ როდესაც საქართველოში მრავლადაა ადგილები (ბორჯომის ხეობა, მდ. ვერეს ხეობა, სვანეთი, ენგურის ხეობა, შავი ზღვისპირეთი და ა.შ.), რომელთა შესახებ ამავე ასპექტში საუბარი უფრო გულთან ახლოს მისაბნინი იქნებოდა და კომუნიკაციისთვის მოტივაციის აღმძვრელი.

ბევრი დრო (დონე 4, 12 თემიდან 3-თემა – №7, №8 და №11) ეთმობა შორეულ

რომ უფრო დაუახლოვონ ქართველ მოსწავლეებს, ვალენტინა ტერეშკოვა და იური გაგარინის თემა ხაზგასმული.

● (დონე 5, გვ. 48). დიდებული სახავე ადგილების ნიმუშად **პეტერბურგი, ზამთრის სასახლე და ერმიტაჟი** – მაშინ როდესაც ქართველ მოსწავლეებს ვიზის მოპოვებაც კი არ შეუძლიათ რუსეთის აღნიშნული ადგილების მოსანახულებლად – ლონდონთან შესაღარებლად.

● (დონე 6, გვ. 58-64) თემა აქვს დათმობილი ქეჩუა (სამხრეთ ამერიკის ანდეების რეგიონში მცხოვრები) ხალხების ხელოვნების (დეკორი ხეზე) შედარებას რუსულ „მატროშკასთან“, ხოლო წერითი კომპოზიციის თემაა რუსული ხალხური ნაწარმი თოჯინების აღწერა. თან დასმულია კითხვა – **„გახსოვთ რუსული თოჯინები?“** და ა. შ.

ამ ასპექტში იგივე შეიძლება ითქვას საბაზო სკოლის სახელმძღვანელო New Inspirations-ს შესახებ.

● აქ ფიგურირებს Katya from Russia, Katya Petrova's family, რომლის ირგვლივ დავალებაც არის შესასრულებელი – კატიას გენეალოგიური ხის შედგენა

წერილი
ეგვიპტიდან



პრეზენტაციის დროს

რუსთაველი სწავლობდა უნივერსიტეტში

არაბულენოვანი
„ვეფხისტყაოსნის“
შექმენის ისტორია

2016 წლის 31 იანვარს ეგვიპტის წიგნის 47-ე საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ პრეზენტაცია არაბულ ენაზე. კაიროს წიგნების საერთაშორისო გამოფენა რეგიონის ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან გამოფენად მიიჩნევა და არაბული სამყაროს გამოცემლობების მთავარ ღონისძიებად ითვლება. საქართველოს საელჩო კაიროში ამ პროექტზე ერთი წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა. აღნიშნულ საკითხზე გაიმართა არაერთი შეხვედრა ეგვიპტის შესაბამისი უწყებების ხელმძღვანელებთან, მათ შორის, ეგვიპტის კულტურის მინისტრთან და მის პირველ მოადგილესთან საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების საკითხებში, ასევე წიგ-



არგილ კულიაშვილი

ნების გენერალური ორგანიზაციის თავმჯდომარესთან. ქართული დამწერლობის წარმოჩენის მიზნით, წიგნის ყდაზე გამოყენებულია ქართველი კალიგრაფის ფიქრია ჭაბუკიანის ნამუშევრები. ამასთან, ყდაზე წიგნისა და ავტორის სახელი წარმოდგენილია როგორც არაბულ, ასევე ქართულ ენებზე. წიგნი დასურათებულია ცნობილი ქართველი გრაფიკოსის, ფერმწერის, ილუსტრატორისა და თეატრის მხატვრის სერგო ქობულაძის ილუსტრაციებით.

პრეზენტაციას მოწვეულ სტუმრებთან ერთად დაესწრნენ ეგვიპტის მედიის წარმომადგენლები. ეგვიპტის პრესაში აქტიურად გაშუქდა ინფორმაცია არაბულად ნათარგმნი „ვეფხისტყაოსნის“ ხელმეორედ გამოცემის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიაზე და მის როგორც ქართულ, ისე ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე. ეს არის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველო - ეგვიპტის მჭიდრო კულტურული თანამშრომლობის გაღრმავების გზაზე. დამსწრე საზოგადოებას სიგყვით მიმართეს საქართველოს ელჩმა არჩილ ძულიაშვილმა და ქნმა თინათინ მხეიძემ, რომელიც ამ ღონისძიებაზე კაიროში თბილისიდან საგანგებოდ ჩამოვიდა. თინათინ მხეიძე არის 70-იან წლებში სირიაში მოღ-

ვაწე ქართველი ბიზნესმენის ლევან სალარაძის შვილიშვილი, რომლის ხელშეწყობითაც 1984 წელს სირიის დედაქალაქ დამასკოში არაბულ ენაზე პირველად ითარგმნა და გამოიცა „ვეფხისტყაოსანი“.

აქ მიზანშეწონილად ეთვლით, გავისხენოთ ყველა იმ პიროვნების ღვაწლი, რამაც შესაძლებელი გახადა „ვეფხისტყაოსნის“ არაბულად თარგმნა და მისი დამასკოში პირველად გამოცემა.

გურამ ჩიქოვანი: ქართველი აღმოსავლეთმცოდნე მეცნიერი, საქართველოს არაბულ ქვეყნებთან ურთიერთობის ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი. იგი 1975 წელს ჩავიდა სირიაში, სადაც გაიცნო ნიზარ ხალილი. ნიზარ ხალილის იმხანად მუშაობა ჰქონდა დაწყებული „ვეფხისტყაოსნის“ არაბულად თარგმანზე თავის ხელთ არსებულ ფრანგულ ტექსტზე დაყრდნობით. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანში და მისი არსის გაგებაში ნიზარ ხალილის ესაჭიროებოდა ქართულისა და არაბულის მცოდნე ფილოლოგი. იგი უნდა გადაეცემულიყო არაბულად ქართულ დედასზე დაყრდნობით. გადაწყდა, რომ გურამ ჩიქოვანი და ნიზარ ხალილი ერთობლივად იმუშავედნენ „ვეფხისტყაოსნის“ არაბულად თარგმნაზე. ტექსტზე მუშაობის პროცესი საკმაოდ შრომატევადი გამოდგა. მასზე მუშაობა 1975 წელს დაიწყო და 1984 წლამდე გაგრძელდა. არაბული ტექსტის შესწავლაში, სხვადასხვა ეტაპზე, მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა. საბოლოოდ იგი 1984 წელს დამასკოში გამოიცა სირიაში მოღვაწე ცნობილი ქართველი ბიზნესმენის ლევან სალარაძის უშუალო ხელშეწყობით.

ბატონი გურამ ჩიქოვანი იხსენებს „ვეფხისტყაოსნის“ არაბულად თარგმნის ისტორიის საგულისხმო დეტალებს: „ნიზარ ხალილი 1966 წელს პირველად ჩამოვიდა საქართველოში შოთა რუს-



თინათინ მხეიძე

თაველის 800 წლის იუბილეზე საქართველოს მწერალთა კავშირის მოწვევით და შეხვდა ჩვენს მწერლებს, მეცნიერებს, ქართველ საზოგადოებას, მათ შორის, გრიგოლ აბაშიძეს და იოსებ ნონეშვილს. სწორედ გრიგოლ აბაშიძემ და იოსებ ნონეშვილმა თბილისში ურჩიეს ნიზარ ხალილის, რომ ეთარგმნა არაბულად „ვეფხისტყაოსანი“.

ნიზარ ხალილი სირიის ქალაქ ალეპოს მედიკოსია. ამჟამად იგი ლაგაკისთან, ქასაბში ცხოვრობს. მას 90 წელი შეუსრულდა. იგი მაღალი ავტორიტეტის მთარგმნელია, ფლობს უცხო ენებს. სირიაში დაბრუნებისთანავე ნიზარი შეუდგა მუშაობას თარგმანზე და რადგან ქართული ენა არ იცოდა, ძირითადად ეყრდნობოდა „ვეფხისტყაოსნის“ წულადისეულ ფრანგულ თარგმანს. თავდაპირველად გაუჭირდა ტექსტზე მუშაობა და ფრაგმენტულად თარგმნიდა. 1975 წელს მე ჩავიდა სირიაში ხანგრძლივი მიე-



გურამ ჩიქოვანი და ნიზარ ხალილი

ლინებით და ჩემმა მეგობარმა, თბილისის ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელმა რემო მირიანაშვილმა გამაცნო ნიზარ ხალილი ალეპოში. ნიზარს ძალიან გაეხარა ჩემი გაცნობა, ვინაიდან მე, როგორც არაბისტს, შემეძლო დახმარების გაწევა. ტექსტის თარგმანში და, საერთოდ, მის გაგებაში ნიზარს ესაჭიროებოდა ქართულისა და არაბულის მცოდნე ფილოლოგი. ასეთი ვიყავი მე. რემო მირიანაშვილი არაბ მთარგმნელს არაბულ ენაზე თარგმანში ვერ დაეხმარებოდა, მაგრამ მორალურად მხარში ედგა და ბევრი გააკეთა, რომ ნიზარს თარგმანზე მუშაობა არ შეეწყვიტა.

მე გავიცანი ტექსტს 1975 წელს და აღმოჩნდა, რომ იგი იყო დასამუშავებელი. მაგალითად, შესავალში 33 სტროფია და ნიზარს მხოლოდ 8 სტროფი ჰქონდა ნათარგმნი. ასე მიჰყვებოდა ბოლომდე, ალაგ-ალაგ ფრაგმენტულად... ჩვენ, ჩემი შეთავაზებით, გადავწყვიტეთ ერთად გვემუშავა და გვეთარგმნა მთელი ტექსტი სრულად, თანაც არა ფრანგული თარგმანიდან, არამედ ქართულ დედასზე დაყრდნობით. ჩავუჯექი რუსთაველოლოგიურ ლიტერატურას და დავამუშავე წინასწარ. ვმუშაობდით ასეთი პრინციპით: ვისხედით ერთად. მე ვაწვდიდი მას პწკარედ თარგმანს. ნიზარი მიბრუნებდა მხატვრულ ვარიანტს. შემდეგ ერთად ვდებულობდით გადაწყვეტილებას. ხშირად ვკამათობდით.

მაგალითად, პირველი გაეპი მას ასე ჰქონდა ნათარგმნი: „სახელითა ალაპისა, მოწყალისა, მწყალობელისა, სამყაროს შემქმნელისა“. ასე, მოგვსენებდა, ყურანის სურეები იწყება და ეს გამოთქმა, საერთოდ, ისლამურ სამყაროში მიმართვის ფორმულაა. მე არ გავიზიარე იგი და ჩავსვი მუსტი

მსოფლიოსთვის ენაძუსი კობდეს...



თავმანი. და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.. მომიხ-
და მთელი გეჟსგის დამუშავება და გადაკეთება...

1978 წელს ნიზარ ხალილიმ და მე დავასრულეთ
სრული გეჟსგის თარგმანი და მივედი დამასკო-
ში ლევან საღარაძესთან. იმხანად დამასკოში ვმუ-
შაობდი და ვცხოვრობდი. ჩავაყენე საქმის კურს-
ში თარგმანის შესახებ და შევთავაზე გამოცემა.

ემიგრანტი ლევან საღარაძე, საქართველოსა და
ქართული კულტურის უზომო გრფიალი, სირიაში
მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი იყო. იგი ზედ-
მიწვევით კარგად იცნობდა ქართულ ლიტერატუ-
რას. განსაკუთრებით უყვარდა „ვეფხისტყაოსანი“
და საუბარში ხშირად უხმოდა რუსთაველის აფო-
რიზმებს. იმერული აქცენტი და ხალასი იუმორი
ძალიან უხდებოდა წარმოშობით ქუთაისელს. ლევიკო

საღარაძე სრულიად ახალგაზრდა,
გასული საუკუნის 30-იან წლებ-
ში წავიდა ემიგრაციაში თავის
სამ მეგობართან ერთად. მრავ-
ალი სიძნელისა და წინააღმდე-
გობის მიუხედავად, შეძლო გაე-
ლენიან ბიზნესმენად გახდომა.
მას იცნობდნენ და დიდ პატივს
სცემდნენ საქმიან წრეებში არა
მარტო სირიაში, სადაც ცხოვრობ-
და, არამედ მთელ მახლობელ აღ-
მოსავლეთში. დამასკოში მოხვედ-
რილი ნებისმიერი ქართველი ლე-
ვან საღარაძის ოჯახს სტუმრობ-
და და მასთან და იმის მეუღლეს-
თან, უკრაინელ ქალბატონ ევ-
გენიასთან, შეხვედრას შემდეგ
მთელი ცხოვრება სიამოვნებით
იხსენებდა.

ლევან საღარაძემ არაბული
„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის
იდეა დიდი ენთუზიაზმით აიტა-
ცა და თანხმობა დამიდასტურა.
იგი არ იცნობდა ნიზარ ხალილის და არც თარგ-
მანის მიმდინარეობის შესახებ ფლობდა რაიმე ინ-
ფორმაციას. მთხოვა ჩამომეყვანა ალექსოვან ნი-
ზარ ხალილი და გამეცნო მისთვის. ჩამოვიყვანე
ნიზარი და გავაცანი მას. კარგად მახსოვს, ეს მოხდა
1978 წლის ნოემბრის დასაწყისში.

შეხვედრაზე გადაწყდა დამასკოში წიგნის გა-
მოცემა ასე: მთარგმნელი – ნიზარ ხალილი, რე-

დაქტორი და შესავალი სტაგიის ავტორი
– გურამ ჩიქოვანი, გამომცემელი – ლე-
ვან საღარაძე. ნიზარ ხალილიმ შესა-
ვალს ჩემთან ერთად მოაწერა ხელი
და გეჟსგის ბოლოში ჩაამატა, რომ
მე ვიყავი მისი კოლეგა (გამილ) და
თანამშრომელი ამ თარგმანში, რო-
გორც რედაქტორი და გეჟსგის დიდი
ნაწილის პწკარედის ავტორი.

1978 წლის ბოლოს, მალე, ჩვენი შეხვედრის
შემდეგ, მე დაებრუნდი თბილისში და წამოვიღე
საბეჭდ მანქანაზე დაბეჭდილი პოემის არაბული
გეჟსგის. თბილისში ისევ გავაგრძელე მუშაობა თარ-
გმანის რედაქციაზე და 1979 წელს ჩავუგანე ალექსოვან
ნიზარს ჩემი შენიშვნები.



ლევან საღარაძე

თბილისში აკადემიკოსი
კოტე წერეთელი გამოვიდა
თოსნობით, შეგვექმნა არა-
ბული გეჟსგის შემსწავლე-
ლი მოკლევადიანი კომისია,
რამეც თანხმობა განვაცხა-
დე. ამ კომისიაში ჩემთან
ერთად იყვნენ ცნობილი
არაბისტი, „ათას ერთი ღა-
მის ქართულ ენაზე მთარ-
გმნელი“, პროფესორი ნა-
ნა ფურცელაძე და მეცნიერ-
თანამშრომელი ლია რუ-
ხაძე. ნიზარი გაეცნო მათ
შენიშვნებსაც თბილისში ვი-
ზიტის დროს.

გეჟსგის დაბეჭდვამდე ნი-
ზარ ხალილი თბილისში ერ-
თი თვით მოიწვია ოთარ გი-
გინეიშვილმა უცხოეთში
მცხოვრებ თანამემამულე-
ებთან ურთიერთობის ცენ-
ტრის ეგიდით. ის თვითონ
იყო ამ ცენტრის თავმჯდომარე.

შემდეგ, სულ ბოლოს, 1984 წლის მაისულში ჩა-
ვედი დამასკოში ლევან საღარაძის მიწვევით პოე-
მის საბოლოო რედაქციის მიზნით. დასურათებაზე მი-
ვიღე საბოლოო გადაწყვეტილება, ყოფილიყო წიგ-
ნში სერგო ქობულაძის ილუსტრაციები. ისინი უმაღლესი
პროფესიონალიზმით შესრულებული ილუსტრაციები.
თარგმანს, გამოქვეყნების შემდეგ, გამოსმაურებები
და შეფასებები მოჰყვა თბილისში, და-
მასკოში, ალექსოვან, ბერუთში, ბაღდადსა
და სანკტ-პეტერბურგში. მან მაღალი
შეფასება დაიმსახურა. საქართველო-
ში იბეჭდებოდა ინფორმაცია ამის შე-
სახებ. მეც გამოვაქვეყნე რამდენიმე
სტატია „ლიტერატურულ საქართველო-
ში“ და კიდევ რამდენიმე გაზეთსა და
ჟურნალში (იხ. gchikovani.ge).

„ვეფხისტყაოსანი“ იმ მხრივაც არის
ფასეული არაბული სამყაროსთვის, რომ
პოემაში ხაზგასმულია არაბების კე-
თილშობილება, სიმამაცე, თავდადე-
ბა, რაინდობა... ავთანდილი იდეალური
გმირია.


არაბი ლიტერატორებისა და მკითხ-
ველებისათვის განსაკუთრებით სა-
ინტერესო და მიმზიდველი იყო „ამ-
ბავი როსტევეან არაბთა მეფისა“, არაბი
ავთანდილის რაინდობა, სწორუპოვ-
რობა. ჩემი ვარაუდით, საკუთარი სა-
ხელი „ავთანდილი“ არაბული წარ-
მომავლობისაა და უნდა მომდინარე-

ობდეს არაბული ლაქაბიდან „აქდალ დინ“ – საუ-
კეთესო, უებრო, სწორუპოვარი, რჩეული სარწმუ-
ნოებისა, რელიგიისა (ამის შესახებ იხ. გურამ ჩი-
ქოვანი, „ავთანდილის“ ეტიმოლოგიისათვის, ახ-
ლო აღმოსავლეთი და საქართველო, VII, 2014). „პო-
ემისა და სიბრძნის თავანკარა წყაროები“ – ასეთი
იყო პრემენგაციის შემდეგ გამოქვეყნებული სტაგიის
სათაური, რომელიც დამასკოში დაიბეჭდა. ასეთია
მოკლედ „ვეფხისტყაოსნის“ არაბული თარგმანის
ისტორია.

ბოლოს, კაიროში საქართველოს საელჩო კი-
დეგ ერთხელ აღნიშნავს ნიზარ ხალილის, გურამ
ჩიქოვანისა და ლევან საღარაძის ფასდაუდებელ
ღვაწლს „ვეფხისტყაოსნის“ არაბულად თარგმნი-
სა და 1984 წელს მისი სირიაში გამოცემის საქ-
მეში. ასევე მაღლობას ვუხდით ყველა იმ ქარ-
თულ მეცნიერსა და მოღვაწეს, ვინც ჩართული იყო
ამ მნიშვნელოვანი წამოწყების წარმატებით გან-
ხორციელებაში.

ამ ყოველივემ კი შესაძლებელი გახდა, 2016
წელს კაიროში საქართველოს საელჩოს არაბულ
ენაზე ხელმეორედ გამოეცა „ვეფხისტყაოსანი“, რაც
არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა საქარ-
თველო-ეგვიპტის კულტურული თანამშრომლობის
გაღრმავებისა და არაბულ სამყაროში ქართული
მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობის
წარმოჩენის მხრივ.

**ეგვიპტეში საქართველოს საელჩოს
გასაღების მიხედვით მოაზრდა
გურამ ჩიქოვანი**



იყო არაბეთს როსტევეან, მეფე ღმრთისაგან სვიანი,
მაღალი, უხვი, მდაბალი, ღამქანრმავალი, ემიანი,
მოსამართლე და მოწაღე, მორწმული, განგებიანი,
თვით მეომარი უებრო, კელა მოუხარი წელისანი.



© ერთ ხელში ჯვრით, მეორეში – „ლიონკით“

თქვენ ჯერ არ იცით, რა პირისუპილებს ამოუღაქით ბეკრდში!

(მესამე ბეკრდში) ბლოგერი ტამირის ნაბეგობი ყაბარდოელი მოხალისეების მოგონებებზე დაყრდნობით, რომელიც 2012 წლის 15 იანვარს Forum Circassia-ზე გამოქვეყნდა.

„აფხაზეთში გამოცემული წიგნები, რომლებიც ქართულ-აფხაზურ ომზე მოგვითხრობს, მთელი თავებით აღწერს ნე-ბისმიერ შეიარაღებულ ინციდენტს რომელიმე ქუჩების კვეთაზე და რატომღაც „მორცხვი“ ხდება, როდესაც მთავრობის სახლის გათავისუფლებაზე საუბარი.

„ჩვენებმა გაათავისუფლეს „СОВМИН“-ი!“ – აი ამ თემაზე გამოქვეყნებული ყველა პუბლიკაციის მოკლე ლაიტმოტივი. თითქმის იქ არც ყოფილა გააფთრებული ბრძოლა... არ არსებობს არანაირი აღწერა ამ მოვლენების დეტალებისა შტურმის მონაწილეთა მხრიდან...

საყურადღებოა ყაბარდოელეზის მონაყოლიდან ერთი ფაქტი: დაჭრილი კარმოკოვის გამოსაყვანად დაახლოებით ნახევრსაათიანი ბრძოლის შემდეგ იყო პაუზა. ამ დროს ასმედ ფშუნოვმა და მუაჟდ შოროვმა მოახერხეს მოედანს იქით მყოფ აფხაზურ შენაერთებთან მოხვედრა და მოსთხოვეს მათ, შტურმში ჩართულიყვნენ, თუმცა მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს. მაშინ ყაბარდოელებმა ცოტაოდენი საბრძოლო მასალა წაიყილეს და თავისიანებთან დაბრუნდნენ. შტურმი ახალი ძალით განახლდა. მას შემდეგ, რაც საავადმყოფოში გადაყვანილი კარმოკოვის სიკვდილის შესახებ ცნობა მოვიდა, ყაბარდოელებს შენობა აღარ დაუზოგავთ – დაიწყეს „შედილ“ გამოყენებაც...“.

* * *

„შარტაჰამ და გაბასკირიამ საბუთები სწორედ ყაბარდოელებს გადასცეს. ახლა ეს დოკუმენტები, რომორც ისტორიული, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის აფხაზი მოხალისეების კავშირში ინახება...“.

* * *

„...მოლაპარაკებების შემდეგ შენობის მეორე სართულზე ასულ ყაბარდოელებს ქართველი მაღალჩინოსნები და სპეცრაზმელები, სულ 25 ადამიანი ერთ ოთახში შეყრილი დახვდათ. როდესაც თითქმის ყველა მათგანი განიარაღებული იყო, მოხალისეებმა ოთახის კუთხეში სპეცრაზმელი დაინახეს ერთ ხელში ჯვრით, მეორეში კი – „ლიონკით“. მან მშვიდი ხმით ითხოვა: „მომკალით, ჩემი რწმენა თვითმგებლობის უფლებას არ მაძლევს“. გესროლა მისთვის – ნიშნავდა, ყველას სიცოცხლე რისკის ქვეშ დაგეყენებინა. შიხალიევმა, ხაგაჟევმა, ფშუნოვმა, თემირკანოვმა სცადეს, დაერწმუნებინათ იგი, არ ჩაედინა გამოუსწორებელი. როცა გაირკვა, რომ სპეცრაზმელი ავღანეთში იყო ნაბრძოლი, მოლაპარაკებებში ასევე „ავღანელი“ – ყაბარდოელთა ჯგუფის წევრი ასლან ბალყაროვი ჩაერთო. მერაბს (ასე ერქვა სპეცრაზმელს) ეუბნებოდნენ, რომ ომი დასრულებული იყო, სახლში ახლობლები ელოდნენ და ა.შ. მას სიტყვა მისცეს, რომ დაუტოვებდნენ იარაღს, როგორც ღირსეულ მამაკაცსა და მებრძოლეს, თუ ისიც დადებდა პირობას, რომ მას არ გა-მოიყენებდა. ასეც მოხდა. მერაბმა ხაგაჟევს ფოტოსურათი ჩააბარა, რომელზეც თამაზ ნადარეიშვილთან და ქართველ გენერლებთან ერთად იყო გადაღებული (ეს ფოტოც ახლა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის აფხაზი მოხალისე-

ების კავშირში ინახება შარტაჰას და გაბესკირიას საბუთებთან ერთად).

* * *

ტყვეები შენობის მარცხენა ფლიგელის სადარბაზოდან გაჰყავდათ. წინამდებარე მოედანი ხალხით იყო სავსე, რომელიც „გამარჯვებას“ სკანდირებდა და ჰაერში ისროდა. ვერც ერთი მათგანი ვერ ხვდებოდა, რომ შეიარაღებული ადამიანი ყოველგვარი ამოსაცნობი ნიშნების გარეშე იყო მერაბი – ქართველი სპეცრაზმელი. მასაც ესეოდნენ და კოცნიდნენ ყაბარდოელებთან ერთად.

ყაბარდოელები ცდილობდნენ, არ მიეშვათ ტყვეებთან ხალხი, რომელიც აგრესიული იყო და მათ პრეტენზიებით აწყდებოდა. თუმცა როგორც მოხალისეები ისე სენაბენ, შიში ქართველი ტყვეების თვალაში არ იყო. ზოგიერთი სიძულვილწარებადაც კი იღიმოდა. მშვიდი იყო ჰიული შარტაჰაც და გურამ გაბასკირიაც.

ვალერი არამისოვმა იარაღი შეაგროვა და მისი შენობიდან გატანა დაიწყო, მას სხვებიც ეხმარებოდნენ. მეჟაევმა, შოროვმა, ფშუნოვმა და სხვებმა წრე შემოარტყეს ტყვეებს და ცდილობდნენ, მათთან არავინ მიეშვათ, თუმცა ეს არ შეუძლოდათ – მათ ხან ერთი, ხან მეორე მხრიდან ურტყამდნენ.



ყაბარდოელები უპირობოდნენ ბრბოს, „რას სჩადით, ცხოველები ხართო?“. ერთ მომენტში შოროვმა, რომელიც გაბასკირიასთან მიხალღოვდა მოქალაქეს ხელი ჰკრა, პირდაპირ კამერის გვირგვინი იყვინა: „სად იყავით „გმირები“ აღრიყო?“. ერთ-ერთმა მოხალისემ კი ყაბარდოს ენაზე მოუწოდებდა აღიღებ, „ბრ შერიოდნენ ამ ბრბოს“.

ამ დროს ხალხმა, რომელსაც არანაირი შეხება არ ჰქონდა შტურმთან, შენობიდან ის აფხაზური დროშა ჩამოხსნა, რომელსაც „ყაბარდოელთა ჯგუფი“ ეწერა და ახალი – სუფთა დროშა დაამაგრა. ანზორ თემირკანოვი ზემოთ

ავარდა და ჩერქეზული დროშა ჩამოხსნა, რომ ისიც უცხოებს არ ჩამოეხსნათ. ეს ალაბი მან შემდეგ მეთაურს – შოროვს გადასცა.

ამასობაში მოედანზე მაინც მოკლეს სამი ტყვე. ვილაყამ „რაფი“ მოაგორა, რომელშიც ტყვეები შეტენეს. შარტაჰას ყაბარდოელების გარეშე მოედნის დატოვება არ სურდა. გაფთრებული ბრბო „რაფს“ გასვლის საშუალებას არ აძლევდა და ტყვეებს მანქანის ფანჯრების დამტყრეულ მინებში გაყოფილი ავტომატების კონდახებით სცემდა.

რამდენიმე დარტყმას თავის არეში იღებს გაბესკირიაც. ყველაფერ ამას ახლავს შეძახილები, ლანძღვა-გინება. ყაბარდოელები ბრბოს წინააღმდეგობას უწევენ. მათი ეს წინააღმდეგობა კინაღამ დაპირისპირებაში გადაიზარდა. მაშინ ხაგაჟევმა რამდენჯერმე დაიყვირა, „ჰაერი, ჰაერიო“. ბრბო დაიშალა და „რაფმაც“ სასწრაფოდ დატოვა მოედანი.

გზად ტყვეები ჯგუფი სხვაგან ჩაიგდეს ხელში და დახვრიტეს. შარტაჰას მოლოდინი გამართლდა.


ვლადისლავ არძინაზ ბანრისხა, რომცა ტყვეთა დახვრეტის შესახებ შეიტყო, მათ, განსაკუთრებით კი შარტაჰამ, ბეკრი იცოდნენ და ცოცხლად სჭირდებოდნენ.

* * *

ყაბარდოელთა ჯგუფმა, მიიღო რა ახალი ბრძანება, გზა განაგრძო. მანამდე შოროვი და ვართანი ცეცხლმოკიდებული შენობის წინ ერთმანეთს გადაეხვივნენ. სომეხმა თქვა, „ვესალმები ყაბარდოს“, შოროვმა კი – „ვესალმები აფხაზებს“, რაც ვიდეოშია დაფიქსირებული.

ყაბარდოელებთან ერთად უშუალოდ შტურმში სომეხი ვართანი (ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი) და აფხაზი არძინაზ მონაწილეობდნენ – ამ უკანასკნელის სახელი უცნობია.

დედამინის ზურგზე



თურქეთის სამხედრო-საჰაერო ქალაქი ერთი დღე-ღამის განმავლობაში 20-ჯერ და შეტევა დაარღვიეს საზღვარი სახერხეთთან

საბერძნეთში ემინიით, რომ თურქეთი იყენებს რთულ სიტუაციას ლტოლვილებთან დაკავშირებით და აძლიერებს თავის ყოფნას ევროსის ზღვაში, სადაც მალე გაიმართება ნატოს ოპერაცია მიგრაციულ ნაკადებზე კონტროლთან დაკავშირებით.

ვენესუელის პრეზიდენტმა შეხვედრა მთავრობაში ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის განხილვის მიზნით

ახალი ვიცე-პრეზიდენტი ეკონომიკის საკითხებში განხილვის მიზნით და ტრანსპორტის მინისტრი მიგელ პერეს აბადი, რომელმაც ლუის სალას როდრიგესი შეცვალა. ამ დროს ამ გადაადგილების განმარტების დროს მადურში მიზნად დაასახელა ლუის სალასის პიროვნული და ოჯახური ვითარებანი. გასულ კვირას ქვეყნის პარლამენტმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა სასურსათო სფეროში.

ინფორმაციის გაიყვანა ლეონარდო, რომელმაც ქალაქ განგალორის სკოლაში 6 კაცი დააზიანა

სკოლაში თავდასხმის შემდეგ 6 წლის მამალი ლეონარდო დააძინეს და გადაიყვანეს ეროვნულ პარკში, სადაც ცხოველი უნდა ყოფილიყო ვეტერინარების მეთვალყურეობის ქვეშ. მაგრამ გასულ კვირას ლეონარდო გაიპარა გალიიდან და გაიქცა.



რუსმა ქალბატონმა ნიუ-იორკის ქს-გუბერნატორს თავდასხმაში დასწრე ბრალი

გაზეთ „ნიუ იორკ პოსტის“ ცნობით, საკითხი შეეხება 25 წლის სვეტლანა კრევის – ის არის ნიუ-იორკის შტატის ექს-გუბერნატორის ელიოტ სპიტცერის მეგობარი. სიენის ინფორმაციით, რუსი ქალბატონი ამტკიცებს, რომ თავის დროს მისი საყვარელი ცდილობდა მის დახრწობას, რის შედეგადაც იგი საავადმყოფოში მოხვდა.

ირანი აპირებს შეიწყოს 8 მილიარდი დოლარის ღირებულების რუსული სამხედრო ტექნიკა

ასეთი შეთანხმებების რეალიზაცია, სხვათა შორის, ქვეყნებს გაუჭირდებათ. ჯერ ერთი, ირანს არ აქვს საკმარისი ოდენობის ფული, რომ გადაიხადოს რუსული სამხედრო ტექნიკისათვის კრედიტის გარეშე. მეორეც, კვლავ მოქმედებს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია ირანში იარაღის მიწოდების აკრძალვის შესახებ.

თურქეთი და საუდის არაბეთი ანაკროვებენ ერთობლივ სამხედრო სწავლებას

მანევრებში საუდის 6 გამანადგურებელი ლებულობს მონაწილეობას. სწავლება რომელიც მიმდინარეობს თურქეთის ცენტრალურ პროვინცია კონიაში, თურქეთის მტკიცებით, დაგეგმილია.



© ალიან-ჩალიანი

ახალი საყრდენი კედელი
წყნოთელეს სპარაუდო
სტიქიისგან ღაიჯავს

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ წყნეთში საყრდენი კედლის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა და მოსასლენობას შეხვდა. წყნეთში, პედაგოგთა გადამზადების ცენტრის მიმდებარე, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის დაკვეთით, საყრდენი კედლის მშენებლობა მიმდინარეობს. წმენდის სიმაღლის საყრდენი კედლის მშენებლობისას პროექტით გათვალისწინებულია სანიაღვრე სადრენაჟე სისტემის მოწყობა. თბილისის მერის დავით ნარმანიას განცხადებით, 13 ივნისის სტიქიის დროს ტერიტორიაზე არსებული სახლების დაზიანდა. მისივე თქმით, ახლა მიმდინარეობს საყრდენი კედლების აშენება, რათა შემდგომში სხვა ბუნებრივი მოვლენების დროს საცხოვრებელ სახლებს ზიანი არ მიაღწეს. „ამ პროექტის განხორციელების შედეგად რამდენიმე სახლი გადარჩა. აღნიშნული პროექტი უსაფრთხოების



კუთხითაც მნიშვნელოვანია. სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ პროექტი დაგეგმილზე ერთი თვით ადრე დავასრულოთ — განაცხადა დავით ნარმანიამ. პროექტს კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის კონტრაქტორი კომპანია „ინსი“ ასორციელებს. საყრდენი კედლის მშენებლობაზე დედაქალაქის ბიუჯეტიდან 1 მილიონ ლარამდე დაისარჯება.

ყაზბაგში ავტოსადგომი და
სასაწყობო მეურნეობა აშენდება

ყაზბაგში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს მანქანების ავტოსადგომისა და სასაწყობო მეურნეობის მოწყობის პროექტის განხორციელების მიზნით შპს „მერფი ყაზბეგს“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 49 წლის ვადით ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფანშეტში მდებარე 52 932 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საინვესტიციო პირობებით გადასცა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულ ტერიტორიაზე 200 სატვირთო ავტომანქანაზე გათვლილი ავტოსადგომი და სასაწყობო მეურნეობა მოეწყობა. პროექტი ასევე ითვალისწინებს 20 საწოლზე გათვლილ სასტუმროს მშენებლობას და არანაკლებ 300 კვ.მ. ფართის მქონე სწრაფი კვების ობიექტის მოწყობას. ჯამში კომპანია 2 500 000 აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს. პროექტი ხელს შეუწყობს ფასანაური-ნატახტარის მონაკვეთზე ტრანსპორტის ნაკადის გამტარუნარიანობის გაზრდას და უზრუნველყოფს სტიქიური მოვლენების, დროს ავტოსატრანსპორტო ნაკადის გამტარუნარიანობის შეზღუდვის თავიდან აცილებას.



არს ერთი ბავშვი საბავშვო ბაღის
ბარეში არ ღარჩება

თბილისის საბავშვო ბავშვების მართვის სააგენტოს 2016 წლის ბიუჯეტით, წელს 10 ახალი საბავშვო ბავშვების მშენებლობა დაიწყება. მერიის ინფორმაციით, მიმდინარე წელს საბავშვო ბავშვების მშენებლობა დაიწყება გუთნის ქუჩაზე, ქვემო ფონიჭალაში, ჩიტაიას ქუჩაზე, წყნეთში, სოფელ გლდანში, ვაშლიჯვარში, ჭიჭინაძის ქუჩაზე, თემქაზე, სოფელ წინუბანსა და სოფელ დილოში. წლებადგელი ბიუჯეტით გათვალისწინებულია აღნიშნული ბაღების მთლიანი ღირებულების ნაწილის ანაზღაურება.

რაც შეეხება ბაღებს, რომელთა გასწავლა მიმდინარე წელს იგეგმება, ესენია მანჯგალაძის, კრწანისის, მიტინგის, ონაშვილის, ბოჭორიშვილის ქუჩებზე, ასევე ფონიჭალაში მდებარე ბაღები. აღნიშნული ბაღების ნაწილის მშენებლობა უკვე დასრულებულია, ამჟამად მიმდინარეობს მათი ინვენტარიზაციისა და აღჭურვის პროცესი.

XO-308-360, მედიანოუსი

განცხადება

2016 წლის 8 აპრილს, 11 საათზე, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ონი, დავით აღმაშენებლის მოედანი №1), ხოლო 2016 წლის 8 აპრილს, 15 საათზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ამბროლაური, თამარ მეფის ქუჩა №1), გაიმართება მინდა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშების საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს მდ. რიონზე და მდ. ლუხუნის წყალზე 64.41 მეგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში — ქ. ონი, დავით აღმაშენებლის მოედანი №1;
 - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. ამბროლაური, თამარ მეფის ქუჩა №1;
 - შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.
- გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:
- ჯუღული ახვლედიანი ტელ: 2 60 15 27; E-mail: jakhvlediani@gamma.ge;
- საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

კომპანია „CALIKENERJI“-ს ადმინისტრაცია

განცხადება

2016 წლის 8 აპრილს, 14 საათზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1) გაიმართება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდ. ნატანებზე „ნატანები 1 ჰესის“ (სიმძლავრით 6,2 მეგვტ) და „ნატანები 3 ჰესის“ (სიმძლავრით 8,4 მეგვტ) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშების საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს მდ. ნატანებზე, სოფ. ვაკიჯვრის მიდამოებში დერივაციული ტიპის არარეგულირებადი (წყალსაცავის გარეშე) ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში — ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1;
- შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- ნინო კეზევაძე ტელ: 599914718; E-mail: n_kezevadze@gamma.ge ;
 - გიორგი ბუაღაძე. ტელ: 595287560; E-mail: goga@gamma.ge ;
- საზოგადოებას საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 45 დღის ვადაში.

შპს „საქართველოს საერთაშორისო
ენარეგული კორპორაციის“ ადმინისტრაცია

განცხადება აუქციონის
ჩატარების შესახებ

სს „ელმაგალმშენებელი“ 2016 წლის 17 თებერვლიდან აცხადებს აუქციონს მის საკუთრებაში არსებული წარმოებისათვის გამოუსადეგარი ჯოჯგინა ამწის საგალი R-43 ტიპის ტელის (საგარეოდ 40-50 ტონა) ტელისაგის შესახებ.

ლოტი №1

წარმოებისათვის გამოუსადეგარი ჯოჯგინა ამწის საგალი R-43 ტიპის ტელის — საგარეოდ 40-50 ტონა — 1 ტონის საწვავი საუქციონო ფასი შეადგენს 120 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარში) დღ.გ.-ს გარეშე;

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე“ ლოტის ღირებულების 10%-ის ოდენობით (ექვივალენტი ლარებში) დღ.გ.-ს ჩათვლით შემდეგ რეკვიზიტებზე:

USD-Account: Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMA VALMSHENE BELI, Account: GE59BG0000000298256900.

GEL-Account: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმაგალმშენებელი“, მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

მედიველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე“ არ დაუბრუნდება.

აუქციონის ბიჯი — 2 აშშ დოლარი.

საქონლის საკონტროლო აწონვას დაესწრება ორივე მხარის წარმომადგენელი.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველ დღე უქმე დღეების გარდა, 10⁰⁰-დან 15⁰⁰-საათამდე. (ქობილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2016 წლის 23 თებერვალს 15⁰⁰ საათზე შემდეგ მისამართზე: ქობილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (დელან).
3. პირადობის მოწმობის ქსერო ასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეგისტრაციიდან.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწვავი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოს:

ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 5 93 922 802, 5 77 003 707, 265 31 42, 265 33 77

სს „ელმაგალმშენებელი“ მუდმივმოქმედი სააგენტო და საპროექტო კომისია.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს „იზარკომპანი თელავა“ 2016 წლის (გამოცხადებიდან მე-20 დღე) დღის 11 საათზე ატარებს პარტნიორთა საერთო კრებას. დღის წესრიგი:

1. 2015 წლის ბალანსის განხილვა.
 2. შპს-ში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის განხილვა.
- პარტნიორთა დასწრება სავალდებულოა.
- მისამართი: ქ. თელავი, აჩინებულის №1.

❶ ჭილაოვა

„ოქრო“ არ გამოგვატანეს



3 მარტისა და 4 ბრინჯაოს მედალი — ასეთი მონაგრით დაბრუნდა კიევის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირიდან საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები. შეჯიბრებაში 20-მდე ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათ შორის — ამერიკელები, კუბელები, ბრაზილიელები, ირანელები, სომხები...

71 კილოგრამ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა გოგა აფრიამაშვილმა. ქართველმა ფალავანმა ზედიზედ დამარცხა მოლოდინი დაწინაურებული კატარგა,

უკრაინელი ოლეგ ანტონოვი, თანაგუნდელი გიორგი ჯავახია, ფინალში კი ირანელ აზიმ გარმსირისთან წააგო — 3:5.

ვლადიმერ გეგეშიძემ (85 კგ) გადამწყვეტ პაექრობამდე ორ უკრაინელს მოუგო — ანტონ ოლეგინისა და იური შკრიუბას, მაგრამ მესამე მასპინძელთან, პირველი ევროპული თამაშების ვიცე-ჩემპიონსა და მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულ ჟან ბელენიუტთან ვერაფერს გახდა და მეორე ადგილს დასჯერდა.

გზად ორი მეტოქე ჩამოიშორა ვასილ იმერლიშვილმა (98) — უკრაინელი მიკოლა კრისოვი და ირანელი დავუდ გინირანი, ფინალში კი შარშანდელი ევროპული თამაშების ვიცე-ჩემპიონსა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორ დიმიტრი ტიმჩენკოსთან (უკრაინა) დამარცხდა.

ნახევარფინალში თითო ორთაბრძოლა დათმეს და მესამე ადგილებზე გავიდნენ არჩილ თურმანიძე (66), გიორგი ჯავახია (71), გიორგი დათუნაშვილი (75) და თორნიკე ძამაშვილი (80).

გივი ბაგვა

❷ ფარიკაოვა

რეპეტიცია ევროპის წინ

თბილისის ფარიკაოების დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა ახალგაზრდა მუშკეტერთა საქართველოს პირველობა. შეჯიბრების მიზანი იყო, შეერჩია საქართველოს ნაკრების წევრობის კანდიდატები, რომლებიც კადეტ და ახალგაზრდა მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადებიან, რომელსაც 28 თებერვლიდან 10 მარტამდე სერბული ნოვი საადი უმასპინძლებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ტურნირში არ უახპარეზიათ მოხალავეთა ლიდერებს: ვაჟებში — ნიკა შენგელიას, რომელიც ეროვნულ ნაკრებთან ერთად პოლონეთში იმყოფება სანკრთელ შეკრებაზე და 19-20 თებერვალს ვარშავაში მსოფლიოს თასის მორიგ ეტაპზე გამოვა; გოგონებში — მარიამ აფციაურს, ანა აფრასიძესა და ლიკა ჯიჯიშვილს. ისინი გერმანიაში ემზადებიან ევროპის პირველობისთვის; რაპირაში — ლუკა ლალანძის, რომელიც ქუვეითის საერთაშორისო ტურნირზე იმყოფება.

კუბერცხლბეში
ხმელი

გოგონები. 1. მარიამ ფსაკაძე (ქუთაისი), 2. ელენე ნაწილაშვილი (თბილისი), 3. ნათია გოგოლაშვილი (ქუთაისი), ნინი ნიქაძე (ზესტაფონი).

ვაჟები. 1. ნიკა ქეიშვილი (თბილისი), 2. გივი მერკვილაძე (ქუთაისი), 3. სერგი გოგლიძე, ოთარ გიორგაძე (ორივე-თბილისი). რაპირა

გოგონები. თონა გოგლიძე (თბილისი), 2. მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი), 3. ნანუკა ლეჟავა, მარიამ ტულუში (ორივე-თბილისი).

❸ ხალხურთი

გეგოქეთა პინაოზა გაიჩქვა

8-13 მარტს თბილისის ახალ სპორტის სახალგაო მსოფლიოს და ევროპის ხელბურთის ფედერაციების (IHF/EHF) ქალთა თასი გათამაშდება. მსგავსი შეჯიბრება მეოთხედ ეწეოდა. ამჯერად 1997 წელს და გვიან დაბადებული ხელბურთელები იასპარეზებენ. ტურნირზე რვა გუნდი მოიყრის თავს. ევროპის ხელბურთის ფედერაციამ ისინი წილისყრით ორ გჯუფში გადანაწილა: **A ჯგუფი** — საქართველო, კვიპროსი, ლატვია და ალბანეთი; **B ჯგუფი** — ფარერები, ბელგია, ესტონეთი და სომხეთი. ჯგუფური ეტაპის მატჩები 8, 9 და 10 მარტს გაიმართება. ორ-ორი საუკეთესო ნახევარფინალში ითამაშებს. მთავარი პრიზის მფლობელი 2017 წელს ინტერკონტინენტალურ მსოფლიოს თასზე რეგონული კონფედერაციების პირველობათა გამარჯვებულებს გაუწევს მეტოქეობას. საქართველო



ვაჟები. 1. ლაშა გალუაშვილი, 2. გიორგი გელაშვილი (ორივე-თბილისი), 3. გიორგი ჭუმბურიძე (ქუთაისი), ნიკოლოზ ვეფხიაშვილი (რუსთავი).

დაშნა
გოგონები. 1. მარიამ ზაკირჩენო (ქუთაისი), 2. მარიამ ცუხიშვილი (რუსთავი), 3. ანა მელია (თბილისი), ნინი გაბუნი (ქუთაისი).
ვაჟები. 1. მიქაელ მიქაელიანი, 2. გიორგი ჯარაშენი (ორივე-თბილისი), 3. დიმიტრი კოვალიოვი (რუსთავი), კახა მიქაძე (ქუთაისი).

ლემსო ცინცაძე

სურბათში: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი გურამ კოსტავა აჯილდოვებს დაშნაში გამარჯვებულსა და პრიზიორებს.

მეშა დანელიძის ფოტო.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306^ნ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ეთიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი მამულიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: გიორგი მამულია (პ/ნ 42001009135), ფოთი, გორგასლის ქ. №42.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ფოთი, კოსტავას ქ. №8 (საკადასტრო კოდი: 04.02.08.124.01.502).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია იჯარის და ქირავნობის უფლებები.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 103621.46 ლარი დღ-ის ჩათვლით (დღე შეადგენს 15806.41 ლარს);

3. აუქციონის დაწყების დრო: 2016 წლის 2 მარტი, 12:00 საათი;

4. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. მოვალეობები: გიორგი მამულია (პ/ნ 42001009135), ფოთი, გორგასლის ქ. №42; მალხაზ ბუკია (პ/ნ 42001010798), ფოთი, გურამიშვილის ქ. №13.

6. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი

მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. აუქციონის პირობები:

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ეთიბი ბანკი ჯორჯია“.

● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ეთიბი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 2 მარტის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306^ნ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ეთიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს მაია გურაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: მაია გურაშვილი (პ/ნ 40001002177), ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, გაგრის ქუჩა, ჩიხი IV №3, ბინა №7.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, გაგრის ქუჩა, ჩიხი IV №3, პირველი სართული, ბინა №7 (საკადასტრო კოდი: 01.20.01.123.020.01.007).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე არ არის რეგისტრირებული გარდამავალი ვალდებულებები.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 5000 ლარი;

3. აუქციონის დაწყების დრო: 2016 წლის 2 მარტი, 12:30 საათი;

4. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. მოვალე: დავით ანდრიაშვილი (პ/ნ 14001005933), ქ. თბილისი, დაბა წყნეთი, გაგრის ქუჩა, ჩიხი IV №3, ბინა №7;

6. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული

მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. აუქციონის პირობები:

● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ეთიბი ბანკი ჯორჯია“.


● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ეთიბი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 2 მარტის 12:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

სანთელი

უდიდესი სიმდიდრე შეგვიძინა

საქართველომ დაკარგა დიდი მოაზროვნე, ღრმა განათლების მქონე პიროვნება ბატონი **ბაჩანა ბრეგვაძე**,



რომლის თავდადებულმა უზადო შრომამ უდიდესი სიმდიდრე შესძინა ქართულ კულტურას, იგი თარგმნიდა ძველი ბერძნული, ლათინური, იტალიური, ფრანგული, ესპანური, გერმანული, პორტუგალიური და რუსული ენებიდან. მისი გასაოცარი ნიჭის წყალობით, ქართულ ენაზე გვაქვს პლატონის, დანტეს, არისტოტელეს, ევრიპიდეს, ციცერონის თხზულებათა თარგმანები, მისივე შესანიშნავი ნათარგმნია ანატოლ ფრანსის შემოქმედება, სერვანტესის უკვდავი „დონ კიხოტი“...

ყოველივე ეს დედნების ენიდან არის შესრულებული. მას აგრეთვე გამოქვეყნებული აქვს ძალზე მნიშვნელოვანი საკუთარი ფილოსოფიური და ფილოლოგიური შრომები. იგი იყო ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, მრავალი ჯილდოსა და პრემიის მფლობელი. მისი დიდი ნიჭიერება და თავდადებული მოღვაწეობა მადლიერი შთამომავლობის მიერ ოქროს ასოებით ჩაწერება ქართული კულტურის ისტორიაში.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდენტის სინანულსა და მწუხარებას გამოთქვამს ბატონი ბაჩანას გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, მის ნათესავებსა და ახლობლებს.

მირაზ ბარბაქაძე

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, მთარგმნელი, მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი **ბაჩანა ბრეგვაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 16, 17, 18 სთ. მისამართი: ფალიაშვილის ქ. 62ა. IV სადარბაზო, I სართული. გამოსვენება 18, 19 სთ. სიონის საკათედრო ტაძრიდან.

რეზო აბაშუკელი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ბაჩანა ბრეგვაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამომცემლობები „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ ღრმა მწუხარებას გამოხატავენ დიდად ღვაწლმოსილი მწერლისა და მეცნიერის, აკადემიკოს

ბაჩანა ბრეგვაძის

გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ განსვენებულის ოჯახს.

© ზანთაბრივი ორიენტირი

იხსოვრა უჩინრად, მაგრამ ვერ დაიშალა

უთუოდ აგი წინათგრძნობა იყო: ორი დღით ადრე როსტომ ჩხეიძეს ბაჩანა ბრეგვაძეზე ვესაუბრებოდი — ძალიან გალამაზდა ხანში შესული, შარავანდედი ადგას, სახეზე ნათელი გადადის-მეთქი. ამას რომ ვამბობდი, გონებაში აკაკი განწერელის სიტყვები მიტრიალებდა კორნელი კეკელიძეზე თქმული: „მოსუცებულობაში აბრეშუმისებრი სითეთრე ეწვია მის თმასა და წვერ-ულვაშს, სოლო პერგამენტის გამჭვირვალობა — მის პირისკანს. ასე მომსიზღვრავად ბერდებიან სულმნათნი“.

რა შორს მეგონა სიბერე ბაჩანასაგან! თვეწახვერის წინათ, ახალი წელი რომ მივულოცე, ესეც ვუთხარი, თქვენ ძალიან კარგად უნდა იყოთ, რადგან ჩვენი ზნეობრივი ორიენტირი ხართ-მეთქი. რას მეტყოდა, ადვილი გამოსაცხიბია:

— ეს ძალიან გადაჭარბებულია, ძალიან გადაჭარბებული... არადა, ოდნავადაც არ იყო გადაჭარბებული...

ისევ აკაკი განწერელია (ვინც უმცროს მეგობარს სანიმუშოდ ეთაყვანებოდა): „ბაჩანა ბრეგვაძემ თავისი პოლიგლოტური განათლება ქართული ენის სამსახურში ჩააყენა და როცა იგი

ბოლომდე განახორციელებს პლატონის — ყველა დროისა და ყველა ხალხის ყველაზე გრძელუღი სტილის მქონე გიგანტის — „დიალოგების“ სრულ ქართულ თარგმანს, ჩვენი ხალხი მაშინ უკეთ დაინახავს, თუ როგორი შეილი აჩუქა ბუნებაში.“

განახორციელა. დაგინახეთ. ძნელი წარმოსადგენია წიგნი-ერი ქართველი, ბაჩანა ბრეგვაძის ფასი რომ არ იცოდეს.

ალბათ, არც არსებობს უკეთესი მაგალითი იმისა, რომ იყო ასე არაპოპულარული და, იმავდროულად, ესოდენ აღიარებული... რა დაუნდობლად ხუნდება ბაჩანა ბრეგვაძის გვერდით მავანთა „უსაზღვრო პოპულარობა“, ქუჩასა თუ სუპერმარკეტში „ცნობადობით“ რომ იზომება...

ბაჩანა ბრეგვაძეს ძალიან უყვარდა ერთი ლათინური გამოთქმა, რენე დეკარტის სამეშაო ოთახში რომ ჰქონია გაკრული: „ყველაზე უკეთ იცხოვრა მან, ვინც ყველაზე უკეთ დაიშალა.“ ის ამ შეგონებასაც მისდევდა და ეპიკურეს რჩევასაც — „იცხოვრე უჩინრად!“

თვითონ კი კარგად იმალებოდა, მაგრამ როგორ დაიშალებოდა მარკუს ავრელიუსის („ფიქრები“), ნიკოლო მაკიაველის („მთავარი“), სერვანტესის („დონ კიხოტი“), პოლ ვალერის („ჩრდილოეთი პროზა“) თხზულებათა, კიდევ უამრავი უკვდავი ქმნილების უბადლო მთარგმნელის ღვაწლი?

ქართული კულტურის წინაშე მის დამსახურებას ხშირად ადარებდნენ გიორგი მთაწმინდელის ღვაწლს.

ის ჭეშმარიტად იყო ჩვენი დროის მთაწმინდელი.

არ ვიცი, დადგება თუ არა მთაწმინდაზე მისი დაკრძალვის საკითხი, ის კი ურყევად მჯერა, რომ მამადავითის მთაზე სწორედ მისნაირი სულმნათნი უნდა განისვენებდნენ — არა მხოლოდ დიდი შემოქმედებით, მაღალი ეთიკური კულტურითა და სუფთა ბიოგრაფიითაც გამორჩეულნი...

თანამედროვე საზოგადოებას შემაშფოთებლად აკლია ზნეობრივი ორიენტირები.

ბაჩანა ბრეგვაძის გარდაცვალებამ, ამ მხრივ, კიდევ უფრო უიმედოდ გაგვადარობს.

აი, ვინ დააკლდება საქართველოს...

იოსებ ჭუმბურიძე

პეიტაზია

პეტრე მერაბიშვილი

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მეცნიერი-ენერგეტიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი **პეტრე მერაბიშვილი**.

პეტრე მერაბიშვილი დაიბადა 1935 წლის 28 ნოემბერს ადიგენის რაიონის სოფელ უდგეში. 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტი, ხოლო 1964 წელს — მოსკოვის კრეშინოვსკის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტი. იყო საქართველოს სამეურნეო საბჭოს თბილისის ელექტროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ინჟინერი (1958-1960 წწ.); სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერთანამშრომელი (1963-1968 წწ.); მოსკოვის საკავშირო საინჟინრო სამშენებლო ინსტიტუტის დოცენტი (1976-1982 წწ.); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (1982 წლიდან); 1964 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1982 წლიდან ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორია.

პროფესორმა პეტრე მერაბიშვილმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ელექტროენერგეტიკისა და თეორიული ელექტროტექნიკის აქტუალური პრობლემების — ელექტროენერგიის ვენტრალური გარდამქმნელების შემცველი წრედებისა და სისტემების თეორიის განვითარებასა და მათი ანალიზის საინჟინრო მეთოდების დამუშავებაში. მისი სამეცნიერო მიღწევები ასახულია 100-ზე მეტ სამეცნიერო ნაშრომში (მათ შორის, 2 მონოგრაფია, 4 უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელო და 16 სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო). იგი იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე. მის მიერ და მისი

ხელმძღვანელობით ჩატარებული მთელი რიგი პრაქტიკული მნიშვნელობის ამოცანების კვლევის შედეგები გამოყენებულ და დანერგილ იქნა სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ.

პროფ. პეტრე მერაბიშვილი ეწეოდა ნაციონალურ პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი და თეორიული ელექტროტექნიკის კათედრის გამგედ და სამცხე-ჯავახეთის ფაკულტეტის დეკანად. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით დატულ იქნა მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. პეტრე მერაბიშვილი იყო აქტიური საზოგადო მოღვაწე და მეცნიერების კარგი ორგანიზატორი. მას მჭიდრო კავშირები ჰქონდა საზღვარგარეთის სამეცნიერო-სასწავლო ცენტრებთან, კითხულობდა ლექციებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და სხვ.

აქტიური საზოგადოებრივი და სამეცნიერო მოღვაწეობით პეტრე მერაბიშვილი დაჯილდოებული იყო „ღირსების ორდენითა“ და სახალხო მერაბიშვილის გამოფენის „ბრინჯაოს მედლით“.

იგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავმდაბლობითა და პატიოსნებით. იყო სამაგალითო ოჯახის მამა და ერთგული მეგობარი. პროფესორი პეტრე მერაბიშვილი დააკლდა ქართულ მეცნიერებას და ყველა ადამიანს, ვინც მას იცნობდა.

დიდია დანაკლისი გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, არაჩვეულებრივი მეოჯახისა და მეგობრის პეტრე მერაბიშვილის გარდაცვალების გამო.

პროფესორ პეტრე მერაბიშვილის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და კოლეგების გულში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

მეუღლე იზოლდა დანგაძე, შვილები თემური, ლევანი, რძლები ოლიკო ცოტაძე, ნინო კუხალაშვილი, შვილიშვილები ანი, ლუკა, გიორგი, და თინა, ცოლისძმა ჯუმბერ დანგაძე ოჯახით, მძახლები იური, მანანა ცოტაძეები, ჯემალ, ნუნუ კუხალაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი მეუღლის, საყვარელი მამის, ბაბუის და ძმის **პეტრე მერაბიშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17, 18 სთ. მისამართი: ზემო წყნეთი, რუსთაველის ქ. №40, დაკრძალვა 18, 19 სთ. ვაკის სასაფლაოზე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 80 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი-ენერგეტიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

პეტრე მერაბიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

პეტრე მერაბიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მინდია სალუქვაძე, გივი ცინცაძე, ვლადიმერ გაბისონია, გურამ ცერცვაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი ასპირანტურის წლებიდან, ცნობილი მეცნიერი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

პეტრე მერაბიშვილი

და უსამძიმრებენ მთელ სანათესაოსა და კოლეგებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მირაზ ჯიბლაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 16, 17, 18 სთ. მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 16, I სადარბაზო, VIII სართული, გამოსვენება 18, 19 სთ. დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძრიდან (უნივერსიტეტის ბაღი).

© პოლიტიკა

ბერლინალე უფრო მეტია, ვიდრე უოუ

წლებადღეობი 66-ე ბერლინალე კინოფესტივალის ფილმით „გაუმარჯოს კეისარს“ გაიხსნა. თითქოს დამთხვევაა, კვირანახვერის განმავლობაში მსოფლიო კინო ბერლინში დაიდო ბინა და ფილმით „გაუმარჯოს კეისარს“ პოლიტიკური ერთი დღით ბერლინში გადმოვიდა. ჯოელ და ეთან კონენები საინტერესოდ, ფილოსოფიური ენით გვიამბობენ 50-იანი წლების პოლიტიკის სტუდიის ოქროს ხანაზე. ედი (ჯოშ ბროლინი) ეძებს მოტაცე-

ამალ კლუნისთან ერთად სტუმრობს გერმანიის დედაქალაქს. კლუნის მისიას ამჯერად პოლიტიკური დატვირთვა აქვს. პოლიტიკის ვარსკვლავმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ სურს, შეხვედეს გერმანიის კანცლერს ლტოლვილების თემასთან დაკავშირებით. იგი აღფრთოვანებულია გერმანიის კანცლერის პოლიტიკით ლტოლვილების საკითხში. 60 მილიონი ადამიანი გამოექცა ომს, ნგრევას, სიღატაკს, შიმშილს, უბედურებას... თავშესაფარს ევროპაში ეძებს.



გერმანიის კანცლერმა იცის პოლიტიკის ვარსკვლავის პოლიტიკური გავლენა, მისი უკვე საზოგადო მოღვაწის როლი ამერიკის შეერთებულ შტატებში. ერთი საათი გაგრძელდა ანგელა მერკელის, ჯორჯ და ამალ კლუნების შეხვედრა. შეხვედრის შემდეგ კლუნიმ ჟურნალისტებს განუცხადა: „ისინი შნიცელის საჭმელად როდი მოდიან გერმანიაში, ისინი მოდიან, რათა გადარჩნენ, გადაარჩინონ თავიანთი შვილები. მათ სიცოცხლე

ბულ კინოგარსკვლავს (ჯორჯ კლუნი). ეჭვი ჩნდება, რომ ჯორჯ კლუნის გმირის გატაცების უკან მოცემულია (ჩენინგ თეტამი) და ქალთეზა (სკარლეტ იოჰანსენი) დგანან. მოკლედ, ფილმში ასახულია პოლიტიკური ინტრიგები, მაფიოზები, პოლიტიკა, ვარსკვლავები, ქორეო და ა.შ.

შეუძლებელია, არ აღვნიშნოთ, წლებადღეობი ბერლინალეს ჟიურის პრეზიდენტი – განუყოფელი მერილ სტრიპი. ყველას ეგონა, მათ შორის ფესტივალის დირექტორსაც – დიტერ კოსლიცსაც, ძნელი იქნებოდა პოლიტიკის ამ ცოცხალი ლეგენდის თანხმობა ჟიურის პრეზიდენტობაზე. როგორც დიტერ კოსლიკი ამბობს, მან დაიმასხოვრა 2012 წელს მერილის ნათქვამი, რომ ის სიამოვნებით დარჩებოდა უფრო სანგაძლიერი დროით ბერლინში. კოსლიკის შეკითხვას: „you always can get a No“ მერილმა „Ja“-თი უპასუხა.

... და კვლავ ჯორჯ კლუნი! იგი უკვე შეიძლება ჩამოდიხ ბერლინალეზე, ამჟამად, მეუღლესთან – ცნობილ ადვოკატ

სწყურიათ. იმედი, გერმანია ამას გაუძლებს და თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას ამ ადამიანებზე. გერმანიის მოქმედება სამაგალითოა.“ გარდა ამისა, მან გერმანიის კანცლერს თანადგომა და დახმარება აღუთქვა. ისიც ითქვა, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებმა ერთად XXI საუკუნის ამ მეტად მძიმე გამოწვევაზე, რასაც ომის შედეგად ევროპისკენ სიცოცხლის გადასარჩენად დაძრული ადამიანების ბედი, ე.წ. ლტოლვილების თემა ჰქვია.

ბერლინალე რომ პოლიტიკური კინოფესტივალია, ეს უკვე ცნობილია, ჰოდა, გერმანიაში კიდევ ერთხელ შეხვდა პოლიტიკა და პოლიტიკური ერთმანეთს. გერმანიის კანცლერს ჯორჯ კლუნის სახით მნიშვნელოვანი მოკავშირე გაუჩნდა.

როგორც კლუნი ამბობს: „ბერლინალე არის კინოს მატყანე და უფრო მეტი, ვიდრე შოუ!“

ლია ვიტიკი, პილენე ვიტიკი.

რეკლამა მაიაკლის ქ. №7.
293-37-87

ყურადღება!

2016 წლის 19 თებერვალს (პარასკევს) 15 საათზე გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიისა და „საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის“ გაერთიანებული სხდომა, რომელზეც მოსწენებით გამოვა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტი გამორჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი

ნოდარ ჭითანაშვილი
თემაზე: **საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაცია და ტენდენციები**.
სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის საკონფერენციო დარბაზში ალ. ყაზბეგის 47, VI სართული).
დასწრება თავისუფალია.

თემაზე: **საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაცია და ტენდენციები**

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე.

© მუთისიდან გვიხატავს

შენთან ვარ, ჩემო მოგზარე!

„საქართველოს რესპუბლიკის“
13 იანვრის ნომერში დასტავებულ
ჩემო მოგზარის ღია წიგნიდან მიმართავ



**სხვის ქონებაზე კბილებსა
ახლა იმდენი იღვსავს,
არ სიზმრებია ვინმესა,
მათ შორის, თუნდაც, გინესსა.
თვალზე ცრემლები მომგვარე,
ნატანჯი რომ არ დაგინდეს.
შენთან ვარ, ჩემო მოგზარე
და ასაკს ახად დაგიდევ.
დაგზავროს, ნურვის ჰგონია,
ჩათვალე, რომ ვერ გათვალა,
შენთან ვარ ვაჟა ჭყონია,
კუთხუთხით ცალთვალა.**

ვაჟა ჭყონია,
გაზეთის „საქმელი საქართველოსი“
სატირისა და იუმორის განყოფილების გამგე.
(ვაჟა ჭყონიას შარჟის ავტორია სახალხო მხატვარი
გიგო მიხანაშვილი)

© ცინცხალი ანეკდოტები

– რა არის გოგო, როგორ გახდი
– ახალი დიეტა მასწავლეს, ბოსტნეულის, 100 კილოგრამი კარტოფილი, 200 კილოგრამი სტაფილო, 300 კილოგრამი ქარხალი...
– უნდა მოხრაკო თუ მოხარშო?
– მიწიდან უნდა ამოთხარო!

– რომორა ხარ, ძამიკო?
– რა გითხრა, აბა... ამდენი წელია, ტყუილად ვნატრობ, რომ ვინმე მოვიდეს, მომესვიოს და მითხრას: ჯუშბერია, გიჭირს, მაგრამ, ნუ დარდობ, ყველაფერი კარგად იქნება! აი, აიღე ეს „სნიკერსი“ და 10 მილიონი ლარი!

– შიშშია, აქანა ხალხი მევიდა, ახალი საცურაო აუზისთვის შემონირულობას აგროვებს. რა ვქნა? – ეკითხება ცოლი.
– რა ქენი და მიეცი ორი... არა, უმჯობესია სამი ვედრა წყალი – უყვირის მეუღლე.

– რაო, ბატონო კუკური, რატომ დადინარ უნომრო ავტომანქანით? – ეკითხება პოლიციელი.
– ზეპირად მახსოვს, პატივცემულო და მიტო!

თანამშრომელი ეუბნება უფროსს:



– პატივცემულო, მე თქვენთან ნახევარ განაკვეთზე ვმუშაობ, ამიტომ გთხოვთ მოგუდულად დამიყვიროთ!

– კი მაგრამ, რა მოხდება, თუკი ჩემი პარაშუტი არ გაიხსნა?
– მაშინ, რიგითო, შენ პირველი დაეშვები მიწაზე!

გამოიწერეთ:

6 თვით – 60 ლარი,
1 წლით – 120 ლარი.

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 293 37 87; 599 79 76 79; „მაგნიტ“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორგე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა“ – 55155444; „ჯეიმედი“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართი:
ქ. თბილისი, ი. მაიაკოვის ქ. 7.
საქართველოს ინტელექტუალური სააგენტო 66434

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS
REPUBLIKA

მაიაკოვის ქ. №7
ინტელექტუალური სააგენტო 66434

მთავარი რედაქტორი
საბარტაკო მოსკოვი
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიზაშვილი
599 53-76-16;
ალექს
ასლანიშვილი
599 56-81-86;

რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
შპს „თანამშრომლობა“-ს გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემლობა
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323



ავტორთა
საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გმადლობთ, რომ კითხულობთ ძველ და სანდო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“,
ყოველი ნომრის შეძენით თქვენ იცავთ თქვენს უფლებებს!